ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ჯონდი ბაღათურია: „დღეს ექსპერტიზის ბიუროში 7 მოზარდის გვამი ესვენა“

ახალი თაობის ნარკოტიკი – აბაზანის მარილი, იგივე მეფედრონი – მთელ თბილისს მოედო

გვ.7

19 აპრილიდან

120 ამბავი

ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ორშაბათი, 30 აპრილი, 2018 №100 (7645) ფასი: 50 თეთრი

„კალაძის გუნდს პრეზიდენტად არჩილ თალაკვაძე უნდა, კვირიკაშვილის გუნდს – მიხეილ ჯანელიძე“

გვ.2

გიორგი ახვლედიანი: „თბილისის მერი „ოცნებიდან“ წასვლასა და ახალი პარტიის შექმნას აპირებს“

მიხეილ სააკაშვილი: „მთავარ შულერს მაგიდა უნდა ავუყირავოთ“

გვ.4

მამუკა ტუსკაძე: „ხელისუფლებამ უზრუნველყო, რომ უგულავამ 38% წაიღო“

გვ.3

„უნდა გენახათ, როგორ ზეიმობდა უგულავას შტაბი“

შსს-ს საწვრთნელ ბაზაზე აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაშავდა

კრწანისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საწვრთნელ ბაზაზე, აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაშავდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

უწყებაში განმარტავენ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაბამისი ამკრძალავი ნიშნებია განთავსებული, სადაც გადასვლა აკრძალულია და ტერიტორია დანაღმულია, თუმცა, სავარაუდოდ, მოქალაქეები აღნიშნულ მოთხოვნას არ დაემორჩილნენ.

დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. არსებული ინფორმაციით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. შსს-ში არ აკონკრეტებენ, დაშავებულები პოლიციელები არიან თუ რიგითი მოქალაქეები. ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით, აფეთქება სწავლების დროს მოხდა და დაშავებულები არიან პოლიციელები.

სამართალი გვ.7

დაჭრილი თაკო გამრეკელაშვილის გადარჩენას მისი შვილები ცდილობდნენ

ერთი თვის განმავლობაში შსს-მ 150-მდე ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

ეკონომიკა გვ.6

რა შემთხვევაში ვეღარ აიღებენ სესხს ხელოსნები, ტაქსის მძღოლები, რეპეტიტორები და ძიძები

ევროპამ ერთ წელიწადში ტურიზმიდან 342 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო

როგორ დავაინტერესოთ ევროპა ქართული ღვინით?!

ISSN 1987-9385

5 რას გეგმავს რუსეთი სირიაში?

4 ლევან ხაბეიშვილი: „ქვეყანას მართავს ქართულ ენაზე მოლაპარაკე რუსული ხელისუფლება“

4 ნუკრი ქანთარია: „ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი არ ჰქონდა“

3 რამაზ საყვარელიძე: „ახლა ივანიშვილს გაცილებით რთული პრობლემები აქვს, ვიდრე 2012-ში ჰქონდა“

„კალაძის გუნდს პრეზიდენტად არჩილ თალაკვაძე უნდა, კვირიკაშვილის გუნდს — მიხეილ ჯანელიძე“

გიორგი ახვლედიანი: „თბილისის მერი „ოცნებიდან“ წასვლასა და ახალი პარტიის შექმნას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

რა გეგმები აქვს თანამდებობაზე დაბრუნებულ ივანიშვილს, ვინ და რატომ უთხრა მას უარი, ვინ წავა „ოცნებიდან“ ოპოზიციაში? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ახვლედიანი, ესაუბრება.

— ყოფილი პრემიერის დაბრუნებასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გაჩნდა. ზოგი ამბობს, რომ მის ფინანსებს შეექმნა საფრთხე და ამიტომ დაბრუნდა, ზოგიც ამტკიცებს, რომ გუნდში იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო, მას სხვა გზა უკვე აღარ ჰქონდა. თქვენი აზრით, რატომ დაბრუნდა ივანიშვილი, რომელიც, პრინციპში, არც ყოფილა წასული?

— წასული მართლა არსად ყოფილა. პრემიერის თანამდებობა მან 2013 წელს დატოვა და ამ 5 წლის განმავლობაში ყველაფერს მაინც ის წყვეტდა. ამიტომ მის გადაწყვეტილებას პოლიტიკაში დაბრუნებას ვერ დავარქმევ. ის მხოლოდ თანამდებობაზე დაბრუნდა.

დარწმუნებული ვარ, მას ამ ნაბიჯის გადადგმა არ უნდოდა, მაგრამ, იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. ხელისუფლებაში როცა ხარ, ძალაუფლებაც შენს ხელშია — შეგიძლია, ყველაფერი გააკეთო, მაგრამ ამას გარკვეული პასუხისმგებლობაც ახლავს. ივანიშვილს არ უნდოდა, ეს პასუხისმგებლობა აეღო, ამიტომაც წავიდა ჩრდილში. მან თავისთვის იდეალური ვარიანტი შეარჩია — ყველაფერს ის წყვეტდა, მაგრამ პასუხს არაფერზე აგებდა.

მას სულ სხვა ცხოვრების სტილი აქვს — დილით 6 საათზე დგება, მიირთმევს სტაფილოს წვენს, მერე 5 წუთი ისეირნებს, მოაგვარებს რომელიმე ხის გადარგვის საკითხს, ჩაეხუტება რომელიმე ხეს, ისევ სტაფილოს წვენს დალევს. საღამოს 10 საათზე აუცილებლად უნდა დაიძინოს.

ახლა მას ამ რეჟიმის შეცვლა მოუწევს, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც უნდა მივიდეს პარტიის ოფისში, ვიღაცას უნდა მოუსმინოს, ვიღაცას დავალება მისცეს. ასე რომ, მისთვის თანამდებობაზე დაბრუნება იძულებითი ნაბიჯი იყო.

ის თანამდებობაზე მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, რომ მის გუნდში სერიოზული დაპირისპირება წარმოიშვა. ახალგაზრდების ფრთამ, რომელიც კახა კალაძის გუნდს წარმოადგენს, პარლამენტზე აიღო კონტროლი. ამან ძველი მეოცნებეების გაღიზიანება გამოიწვია, რაც სავსებით გასაგებია. ეს ადამიანები შექმნის დღიდან ამ პარტიაში იყვნენ. ბევრი მათგანი სააკაშვილის რეჟიმს მანამდეც ებრძოდა. ზოგიერთი მათგანი ციხეშიც კი იჯდა.

კალაძის გუნდის წევრები კი „ოცნებაში“ 2016 წელს მივიდნენ. მათ უმეტესობას ნაციონალური ბეგრაუნდი აქვს და ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებულ არასამთავრობოებში არიან დაფრთიანებული. ამ ადამიანების დაწინაურებამ ძველების გაღიზიანება გამოიწვია. მათ შორის სერიოზული ბრძოლა დაიწყო. „ქართული ოცნება“ დაშლის საფრთხის წინაშე დადგა. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეს მმართველი პარტიისთვის კატასტროფა იქნებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა ივანიშვილმა თანამდებობაზე დაბრუნება.

— ის ქვეყანას კულუარებიდან 5 წლის განმავლობაში მართავდა. პარტიის მართვა არ შეიძლებოდა კულისებიდან?

— პარტიასაც მართავდა, მაგრამ მისი დაბრუნება აუცილებელი გახდა. კალაძის კლანი იმდენად გაძლიერდა, რომ ისინი პრემიერ-მინისტრის ინიციატივებსა და განცხადებებსაც არაფრად აგდებდნენ. პარლამენტში გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივებს, უბრალოდ, აიგნორებდნენ.

კალაძისა და კვირიკაშვილის გუნდებს შორის დაპირისპირება საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებამ კიდევ უფრო გაამწვავა. ორივე გუნდს თავისი კანდიდატი ჰყავს საპრეზიდენტო არჩევნებზე. ახალგაზრდების ჯგუფს უნდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის კანდიდატურა დასახელდეს.

— არჩილ თალაკვაძე უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი?

— ეს ცოტა უცნაურია, მაგრამ კალაძეს, კობახიძეს, მდინარაძეს, ჩუგოშვილს მისი კანდიდატურის დასახელება სურთ. თავისი კანდიდატი ჰყავს პრეზიდენტის პოსტზე კვირიკაშვილის გუნდსაც. ისინი საგარეო საქმეთა მინისტრის, ქართული პოლიტიკის მესის, მიხეილ ჯანელიძის კანდიდატურას ლობირებენ.

— თავისი კანდიდატურები ჰყოლია ბიძინა ივანიშვილსაც. ამბობენ, რომ მან 4 ადამიანს შესთავაზა პრეზიდენტობა, მაგრამ ყველასგან უარი მიიღო. ერთ-ერთი მათგანი დავით მაღრაძე იყო.

— „ქართულ ოცნებაში“ საკადრო თვალსაზრისითაც სერიოზული პრობლემებია, იმდენად სერიოზული, რომ პრეზიდენტობის კანდიდატსაც კი ვერ არჩევენ.

დავით მაღრაძისგან არ მიკვირს, რომ შეთავაზებაზე უარი თქვა. პრეზიდენტობა ძალიან მომხიბვლელი და მიმზიდველია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ამ თანამდებობის დაკავება იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილის მონა უნდა გახდე, ის უნდა გააკეთო, რასაც ყოფილი პრემიერი მოგთხოვს. დავით მაღრაძე ასეთი ადამიანი არ არის და ამიტომაც თქვა უარი ამ შეთავაზებაზე.

— დანარჩენი სამის ვინაობა არ იცით?

— არ ვიცი, მაგრამ მათ ვინაობასაც მალე გავიგებთ. აქ მთავარი არა მათი ვინაობა, არამედ ის არის, რომ ოთხმა ადამიანმა თქვა უარი შეთავაზებაზე, ყოფილიყო მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ „ოცნებაში“ სერიოზული კრიზისია.

ყოფილი პრემიერი თავისი ნების წინააღმდეგ დაბრუნდა თანამდებობაზე და ახლა შეეცდება, „ქართული ოცნება“ როგორმე საპრეზიდენტო არჩევნებამდე მიიყვანოს. ერთობის შენარჩუნება დიდხანს ვერ მოხერხდება, მაგრამ არჩევნებამდე ეს მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

— ზემოთ თქვით, „ოცნების“ ახალგაზრდული გუნდი კვირიკაშვილის ინიციატივებსაც კი აიგნორებდაო. შემთხვევით ივანიშვილსაც ხომ არ დაუწყეს დაიგნორება? მათ უკან დგას კახა კალაძე, რომელსაც თავისი ფული გააჩნია. საუბრობენ იმაზეც, რომ ის ახალი პარტიის დაარსებას აპირებს.

— კალაძემ შეიძლება მართლაც შექმნას პარტია. მას ამბიციებიც აწუხებს, მაგრამ ახლა ამას ვერ გააკეთებს. ახლა არც მას და არც სხვებს იმის რესურსი არ აქვთ, რომ ივანიშვილს დაუპირისპირდნენ. ყოფილ პრემიერს 5 მილიარდი უმაგრებს ზურგს. ეს 5 მილიარდი რომ არა, მას პოლიტიკაზე კითხვასაც კი არავინ დაუსვამდა.

თანამდებობაზე მისი დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი ქონების გადარჩენაც არის. ამავე მიზეზით მან, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში თავად მიიღოს მონაწილეობა. მისი მხრიდან ესეც იძულებითი ნაბიჯი იქნება.

— თავად რატომ მიიღებს მონაწილეობას, კანდიდატს რომ ვერ პოულობენ თუ სხვას მოგება გაუჭირდება?

— ვერც კანდიდატურას არჩევენ და მოგებაც ძნელი იქნება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ეყოლება.

დასავლეთში ივანიშვილს ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც არაფორმალურ მმართველს. ეს შეიძლება მისი ანგარიშებისა თუ ქონების დაყადაღების მიზეზი გახდეს. ეს ივანიშვილს არ უნდა და გაპრეზიდენტების შემთხვევაში სერიოზულ გარანტიებს მიიღებს.

წელს საქართველო პრეზიდენტს უკვე 6 წლის ვადით აირჩევს და გაპრეზიდენტების შემთხვევაში ივანიშვილს მშვიდი ცხოვრება 6 წლით ექნება გარანტირებული. ქვეყნის რეალური მმართველი ისევ ის იქნება, მაგრამ იმას ვერავინ იტყვის, რომ არაფორმალურად მართავს ქვეყანას. დასავლეთის თვალშიც სუფთად გამოჩნდება.

— თავად კი ექნება 2024 წლამდე გარანტირებული თანამდებობა, მაგრამ რას იზამს მისი გუნდი, შეძლებენ ისინი ამ დრომდე ერთად ყოფნას?

— არათუ 2024 წლამდე, 2020 წლამდეც ვერ შეინარჩუნებენ ერთობას. ყოფილი პრემიერი რომ არ დაბრუნებულიყო, საპრეზიდენტო არჩევნებამდეც დაიშლებოდნენ. ივანიშვილის ფაქტორი დროებით შეაჩერებს დაშლის პროცესს.

„ქართული ოცნება“ ისევ „ქართული ოცნების“ ხელით დაიშლება. ისევე, როგორც წინა ხელისუფლებები, ესენიც ყველაფერს აკეთებენ ოპოზიციის დასასუსტებლად. ბიზნესმენებს ოფიციალურად უკრძალავენ ოპოზიციის დაფინანსებას, ათასნაირ ბარიერს უქმნიან. შესაბამისად, ოპოზიციას არ აქვს ხელისუფლების შეცვლის რესურსი.

ამ დროს მმართველ გუნდში ხდება რაღაც და მის შიგნით გამოჩენილი ოპოზიცია ჩამოშლის ხოლმე ამ ხელისუფლებას. ასე იყო გამსახურდიას შემთხვევაში, ასე მოხდა სააკაშვილისა და შევარდნაძის დროს და ასე იქნება ახლაც.

ეს კარგად იცის ივანიშვილმა და ამიტომ თავად შეეცდება „ოცნების“ ბაზაზე ოპოზიციური ფლანგის შექმნას. საპარლამენტო არჩევნებისთვის მმართველ პარტიას გამოეყოფა რაღაც ჯგუფი. სავარაუდოდ, ეს კალაძის გუნდი იქნება. ისინი შექმნიან ახალ პარტიას, რომელსაც „ოცნება“ აღარ ერქმევა. შესაძლოა, მას „ქართული სიზმარი“ ან „ქართული ლეგენდა“ დაარქვან. „ოცნებაში“ დარჩებიან ძველი მეოცნებეები. ერთსაც და მეორესაც ივანიშვილი გააკონტროლებს. არჩევნებს „ოცნების“ ბაზაზე შექმნილი ოპოზიცია მოიგებს.

— საიდან აქვთ იმის გარანტია, რომ არჩევნებს ეს პარტია მოიგებს?

— გათვლა აქვთ ასეთი, ჰგონიათ, რომ პირველ ადგილზე ამ პარტიას გაიყვანენ, მეორე ადგილს კი „ევროპულ საქართველოს“ მისცემენ. კალაძის გუნდი ბოკერიას პარტიასთან ერთად შექმნის კოალიციას.

— „ქართული ოცნება“ გაქრება?

— ის მთავარი ოპოზიციური ძალა იქნება. გათვლა ასეთი აქვთ, მაგრამ, ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ამ შემთხვევაშიც ასე იქნება.

საქართველოს უახლესი ისტორია ცხადყოფს, რომ ესა თუ ის პარტია მხოლოდ ორი ვადით მართავს ქვეყანას. ასე იყო შევარდნაძე, ასე იყო სააკაშვილი. ორივე მათგანი შეეცადა, მესამე ვადითაც დარჩენილიყო ხელისუფლებაში, მაგრამ არ გამოუვიდათ.

არც „ქართულ ოცნებასა“ და ივანიშვილს გამოუვათ მესამე ვადით ქვეყნის მართვა. შესაძლოა, მათ ბევრი კომბინაცია მოიფიქრონ, მაგრამ მთავარი მომენტი — ქართველი ხალხი — ავიწყდებათ.

ჩვენი ხალხი, საბედნიეროდ, არც ყრუა, არც ბრმაა და ანალიზის უნარიც აქვს. ხალხის მოტყუებასა და მესამე ვადით მოსვლას ვეღარ შეძლებენ. რეიტინგი რომ ჰქონდეთ მაღალი, კიდევ შეიძლება, მაგრამ ახლა ელექტორალური თვალსაზრისითაც ძალიან მძიმედ აქვთ საქმე. უმრავლესობა მხოლოდ მაჟორიტარების ხარჯზე მოიპოვეს. ასე რომ, ამ კარტს ვეღარ გაათამაშებენ.

— თუ მაინც შეეცდებიან მის გათამაშებას?

— თუ შეეცდებიან, ისევე დაამთავრებენ, როგორც სააკაშვილმა და შევარდნაძემ დაამთავრეს. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ივანიშვილის თანამდებობაზე დაბრუნება სომხეთში მიმდინარე აქციებს დაემთხვა. იქ პროტესტი დღემდე გრძელდება და, არ არის გამორიცხული, ეს საქართველოსაც გადმოედოს. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი საზოგადოება არც ბრმაა, არც ყრუ და ანალიზის უნარიც კარგი აქვს. დარწმუნებული ვარ, ხალხი აღარ მოტყუვდება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ახლა ივანიშვილს გაცილებით რთული პრობლემები აქვს, ვიდრე 2012-ში ჰქონდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

– ბატონო რამაზ, რამ აიძულა ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნება?

– სისუსტეები იყო „ქართულ ოცნებაში“ და ამის მოხსნა რადგან „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა, ივანიშვილმა გადაწყვიტა, თვითონ მოეკიდა ამ საქმისთვის ხელი. მისი პირმშოა „ქართული ოცნება“ და არქიტექტორს ედარდება, მისი სახლი თუ დაინგრევა. ანალოგიური სინანული ყველა ადამიანს ექნება იმ საქმეზე, რომელშიც ჩადებული აქვს რაღაცა, მით უმეტეს, რომ მსგავსმა პოზიციამ თვითონ ივანიშვილთანაც გაიჟღერა.

– რა პოზიციამ?

– ჩემი დაბრუნება იმავე საკითხებს მოაგვარებს, რითაც დაიწყო „ოცნებამო“. არ დაუზუსტებია, მაგრამ ეს ნაციონალების თემას ნიშნავს, რადგან ახალი თაობის ჯგუფები ისეთი კრიტიკულები არ იყვნენ ნაციონალური მოძრაობის, როგორც იდეოლოგიის მიმართ, მე პერსონალურ დამოკიდებულებას არ ვგულისხმობ, სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულებას ან სხვა რამეს.

– რას გულისხმობთ?

– მე ვგულისხმობ ღირებულებებს, რაც მკაფიოდ გამოვლინდა ნინია კაკაბაძის ინციდენტში. კაკაბაძე შესანიშნავი გოგოა, მას არც პიროვნული კავშირები აქვს ნაციონალურ მოძრაობასთან, მაგრამ გარკვეული ღირებულებების მიმართ დამოკიდებულება, დავუშვათ, მართლმადიდებელი რელიგიისადმი დამოკიდებულება იმ კრიტიკულობით ხასიათდება, რომელიც ნაციონალებისთვის უცხო არ იყო.

– იყო ასეთი ხუმრობაც, ნინია კაკაბაძემ დააბრუნა ივანიშვილი.

– (იცინის) კი, ნამდვილად ასეა. როგორც ჩანს, სხვა პრობლემებთან ერთად, თაობათა შორის განსხვავებაც იგრძნობა „ოცნებაში“. დღევანდელ შემთხვევაში ასაკობრივმა თავისებურებამ შეიძლება ნაციონალური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური ძალის რეანიმაცია მოახდინოს. ეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის ხაზს გადაუხვევდა და უღალატებდა და აზრს დაუკარგავდა ივანიშვილის 2012-ში გადადგმულ ნაბიჯს.

მე მგონი, სწორედ ამიტომ შემობრუნდა პოლიტიკაში ივანიშვილი, რომ იმ ღირებულებების დაკარგვის საფრთხე იგრძნო, რისთვისაც მან 2012 წელი მოიყვანა და გადაწყვიტა მათი დაცვა.

– ფიქრობთ, რომ ნაციონალური მოძრაობა ძალიან გაძლიერდა?

– არა იმდენად ნაციონალური მოძრაობა, თუმცა საყვედური მაგაზეც არის, რომ გარკვეულ სტრუქტურებში სწორედ მათი კადრები ჭარბობს. უფრო გაძლიერდა მათი იდეოლოგია, მათი სისტემა, მათი აზროვნების წესი. სწორედ ამასთან აქვს გარკვეული შეურიგებლობა ბიძინა ივანიშვილს. მოგეხსენებათ, არის პოზიცია, რომ ივანიშვილი და „ევროპული საქართველო“ არიან ალიანსში.

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების მობრუნების საფრთხე გაიზარდა“

– ამაზე აქტიურად საუბრობენ.

– სწორედ „ევროპული საქართველოს“ გაძლიერებაა ის ერთ-ერთი ხაზი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის აღორძინებას შეიძლება დავუკავშიროთ. თუ ივანიშვილი შემობრუნდა ამ ფონზე, ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მისთვის „ევროპული საქართველოს“ გაძლიერებაც მიუღებელი იქნება.

– რა იქნება მისი შემობრუნების შემდეგ? რამდენად მოახერხებს დაკარგული რეიტინგის აწევასა და შელახული იმიჯის აღდგენას? ყველამ კარგად ვიცით, თუ რა განწყობებია საზოგადოებაში.

– რა გითხრათ. ყველა აღნიშნავს, რომ ივანიშვილი ფიქრის სპეციალისტია. ის მოუფიქრებლად არაფერს აკეთებს. იმპულსური ნამდვილად არ არის. უბრალოდ, სავარაუდოა, რომ მისი ეს ნაბიჯი, რომელიც რეიტინგის აღდგენასთან უდავოდ არის კავშირში, სხვა მოვლენებითაც არის განპირობებული.

– რა მოვლენებს გულისხმობთ?

– მე ერთს გავიხსენებ, რომელიც ამ ბოლო პერიოდში გავრცელდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ივანიშვილი ელექტროავტომობილების ქარხნის აშენებას აპირებს ჩინეთსა და საქართველოში. შემდეგ აქ აწყობილი ავტომობილები უნდა გაავრცელოს მთლიანად ამ რეგიონში. საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მიმზიდველია ამ ტიპის ნაბიჯებისთვის, რომ მოხდეს საწარმოების ინვესტირება, რათა ამ საწარმოებმა მერე რეგიონი დაფაროს.

არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი ინვესტიციების პროექტები ჰქონდეს და არც ისე ცოტა. როცა მას უკან მობრუნების აზრი გაუჩნდა, შესაძლოა, ეს გათვლები ჰქონდეს, რომ ის შემოდის იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს ეკონომიკას გაჯანსაღება სჭირდება და ის ამ პროექტებით ხელს შეუწყობს, რაც ხალხის მდგომარეობასაც გააუმჯობესებს.

– რამდენად დაუჯერებს ხალხი მის ახალ დაპირებებს? ყველას ახსოვს, რა დაპირებებიც გასცა „ოცნებამ“ 2012 წელს. მოსახლეობაში გულგატეხილობა და იმედგაცრუებაა. გაბრაზებულია ხალხი.

– გეთანხმებით. ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა ახსენა, რომ ახლა გაცილებით რთულ მდგომარეობაში შემოდის ივანიშვილი ქართულ სივრცეში, ვიდრე 2012-ში შემოდიოდა. მე ვეთანხმები მას ამ შეფასებებში. 2012-ში მოლოდინისა და იმედიანობის ფონი იყო, ახლა კი უიმედობისა და უნდობლობის ფონია.

ასე რომ, ივანიშვილს ბევრად უფრო რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი, ვიდრე 2012-ში ჰქონდა. რამდენად მოახერხებს, ვნახოთ. ვივარაუდოთ, რომ მას ყველაფერი გათვლილი აქვს.

მამუკა ტუსკაძე: „ხელისუფლებამ უზრუნველყო, რომ უგულავამ 38% წაიღო“

გულიკო ბალაძე

ცესკოს წინასწარი მონაცემებით, პარლამენტის შუალედურ არჩევნებში ვანი-ხონის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გივი ჭიჭინაძემ – 57.86%, ხოლო „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა გიგი უგულავამ 38.38% მიიღო.

ჩატარებულ არჩევნებს აფასებს ვანი-ხონის პარლამენტის შუალედურ არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატი მამუკა ტუსკაძე.

– როგორ ჩაიარა არჩევნების დღემ, როგორ წარიმართა ხმის მიცემის პროცესი?

– ზოგადად, არჩევნებმა მშვიდობიანად კი ჩაიარა, ექსცესებს ან რაიმე წინასაარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მთავარი დარღვევა იყო, რომლის შესაბამისი ამკრძალავი ნორმა კანონში არ წერია და ამაზე, ალბათ, კანონპროექტს შევიტანთ პარლამენტში.

– რას გულისხმობთ?

– არჩევნების დროს დემოკრატიის არარსებობას. არჩევნები იმიტომ არის მოგონილი, რომ ადამიანმა თავისი ნება ფარულად გამოხატოს. ამ შემთხვევაში ეს სრულიად დარღვეულია. ამიტომ სასამართლოში სარჩელის შეტანას ვაპირებ ამასთან დაკავშირებით.

– კერძოდ, რაზე?

– ბოლო პერიოდში, კერძოდ, პარლამენტის ვანი-ხონის შუალედურმა არჩევნებმა კარგად დაგვარწმუნა იმაში, რომ ადამიანები არჩევნებში თავიანთ ნებას სწორად და ღირსეულად ვერ გამოხატავენ.

– ფარულობა დაცული არ არის?

– ფარულობა დაცულია კაბინაში, ზოგადად კი ფარულობა დაცული არ არის. კოორდინატორების აქტიურობის შემთხვევაში ფარულობა დაცული არ არის. აშკარაა, ადამიანები დაშინებით, შანტაჟით მიჰყავთ მანქანებით საარჩევნო უბანზე. ამდენად, მათთვის ცნობილია, ვინ ვის მიცა ხმა. ვფიქრობ, ამან შეიძლება კიდევ უფრო უარესი შედეგები გამოიწვიოს. შესაძლოა, ერი ორ ნაწილად გაიხლიჩოს.

– როგორ?

– იდენტიფიცირებული არიან ადამიანები, რომლებმაც რომელიღაც ნომერი შემოხაზეს. ამიტომ არის ეს კანონდარღვევა. დარღვეულია საარჩევნო კოდექსისა და კონსტიტუციის მთავარი პრინციპი, სადაც მითითებულია, რომ არჩევნები თავისუფალია და ფარულია. არჩევნები ჩვენთან ფარული არ არის. ეს არის ფალსიფიკაცია. თითქოს კაბინაში რომ შედის, ფარულად აძლევს ხმას და შემოხაზავს ამა თუ იმ ნომერს, ეს არ არის ფარულობა, ეს უფრო ფიქსაციაა. კაბინამდე მიმდინარე პროცესია მთავარი, როცა ხდება დიდი ფულის ტრიალი, დაშინება, შანტაჟი.

– კონკრეტული ფაქტები გაქვთ, როცა დაშინებასა და შანტაჟზე საუბრობთ?

– კონკრეტული ფაქტია საარჩევნო შედეგები. რამდენი ამომრჩეველი მივიდა, იყო იდენტიფიცირებული, დანომრილი.

– დანომრილი?

– დიახ, ერთნი ევროქოცების სიაში იყვნენ დანომრილი, მეორენი – ევრონაცების. მეზობლებმა იცოდნენ, ვინ ვის აძლევდა ხმას, ანუ შენი თავისუფალი ნება შეზღუდულია. არჩევნებისა და დემოკრატიის მთავარი პრინციპი, ნების გამოხატვა, ჩვენს ქვეყანაში დღეს ფარული არ არის.

– პროცესი ასე ღია იმიტომ ხომ არ არის, რომ მით უმეტეს სოფელში ადვილია გაიგო, ვინ ვისი მომხრეა, ვინ ვის აძლევს ხმას. ჩემი მეზობელი ვის აძლევს ხმას, მეც ვიცი. შეიძლება იმანაც იცის, მე ვის ვაძლევ ხმას.

– დღეს საქართველოში და განსაკუთრებით რაიონებში პოლიტიკური კულტურა არ არის მაღალი. ამომრჩეველი პოლიტიკური პლატფორმის გამო არ აძლევს ხმას ამა თუ იმ პარტიას. სოციალური დახმარება მანიპულაციის საგანია (რაც დამკვიდრდა წინა ხელისუფლებიდან დღემდე), ვის მოუხსნიან სოციალურ დახმარებას ან არ მოუხსნიან. ადამიანს ხშირად ფულსაც არ აძლევენ, უბრალოდ, აშინებენ, რომ სოციალურ დახმარებას მოუხსნიან.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ვხვდებოდი მოსახლეობას, როდესაც აშკარად გამოჩნდა, რომ ადამიანებს ჩვენთან – მესამე ძალასთან – შეხვედრა ეშინოდათ. შეიძლება ის ორი კაპიკი – სოციალური დახმარებაც მოგვიხსნანო. თვითონაც იციან, რომ ეს დახმარება არ ეკუთვნით, უბრალოდ, აძლევენ იმიტომ, რომ ხელისუფლების მხარდამჭერები არიან.

„უნდა გენახათ, როგორ ზეიმობდა უგულავას შტაბი“

– რას მიაწერთ, რომ გიგი უგულავამ 5 ათასი ხმა მიიღო?

– გიგი უგულავამ აშკარად მაღალი პროცენტი მიიღო. ამ წლებში ხელისუფლებამ ძალიან დიდი დანაშაული ჩაიდინა – სოციალური მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა, დანაპირები ვერ შეასრულა, საკადრო პოლიტიკა სუსტია, ბიუჯეტი ვერ გაიზარდა, მაგრამ მთავარი დანაშაული ის არის, რომ უსამართლო ქვეყანაში უსამართლობა დარჩა და სამართლიანობა ვერ აღადგინა.

დღეს ხონსა და ვანში ხელისუფლებამ არა მარტო ვერ აღადგინა სამართლიანობა, არამედ იმ უსამართლო ადამიანებს ჩამორეცხა დანაშაული და დღეს მივიღეთ 38%-იანი მთავარი ოპოზიციური ძალა გიგი უგულავას სახით, ანუ ნაცმოძრაობა იგივე ევრონაციონალური და ევროქოციონალური მოძრაობაა. ამით ჩვენ მივიღეთ უკვე დაბანილი, გასუფთავებული, დავარცხნილი ნაცმოძრაობა, რომელსაც დღეს ევრონაცები ჰქვიათ.

სოციალური პრობლემები, დასაქმება და ეკონომიკური საკითხები მოგვარებადია, მაგრამ მთავარი პოლიტიკური საკითხი რჩება მოუგვარებელი – რაც დღეს ხონსა და ვანში გააკეთეს, კატასტროფაა. ვფიქრობ, ხელისუფლებამ დროზე უნდა მოიხმაროს გონება და მიიღოს ზომები, მონახოს მესამე ძალა, რომელიც სუფთა ხელებით მოვა. შესაძლოა მათ ყველაზე მეტი გააკეთონ ქვეყნისთვის.

– უგულავას ხომ აგებინეს პასუხი ჩადენილი დანაშაულის გამო და ციხეში იჯდა?

– ამაზე პასუხი გიგი უგულავას სოფელ მათხოჯის მცხოვრებმა გასცა. 48 მილიონისთვის გიგი უგულავას 3 წელი და 7 თვე მიუსაჯეს. მას არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ესეც გაუთეთრეს და მონაწილეობა მიიღო. იმ მათხოჯელი გლეხის შვილს, რომელმაც მაღაზიაში პური მოიპარა, სწორედ გიგი უგულავამ და მისმა მთავრობამ 22 წელი მისცა.

იმ მოქალაქემ, ბუნებრივია, 23 ნომერი შემოხაზა, მაგრამ პრობლემა სხვაა. გიგი უგულავამ ქალაქ თბილისის მერის პოსტზე მუშაობისას 48 მილიონი რომ მოიპარა და იმიტომ მოიპარა 48 მილიონი და იმიტომ გაათეთრა, რომ დღეს ბიოგრაფია გაუსუფთავეს – თითქოსდა ნულიდან იწყებს ცხოვრებას და ახალი გეგმები და სტრატეგიები აქვს. გიგი უგულავას სტრატეგია და გეგმა იგივეა, რაც იყო 2012 წლამდე.

– რატომ ამბობთ ამას?

– მის საარჩევნო დევიზებშიც კი იკვეთებოდა მისი მიზნები, სადაც ყველგან ძალა იყო ნახსენები და მუდმივად მანიპულირებდნენ მოძალადეებზე. მათ შორის, გიგი უგულავას შტაბიდან ჩემს ტელეფონზეც განხორციელდა მუქარის ზარი. მე მემუქრებოდნენ, ვანში თუ ჩავიდოდი. მუქარის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არის.

– გიგი უგულავასაც ჰქონდა პრეტენზია, ჩემი ბანერები დაგაზიანეს, სახე ამოჭრესო.

– ბანერების დაზიანება და მსგავსი რაღაცები მათი ხელისუფლების დროს ხდებოდა, თუ ხდებოდა. ნაცები პოლიტიკურ ოპონენტებს ბანერებს კი არ უზიანებდნენ, აკულაკებდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რა ბანერის დაზიანებაზეა საუბარი, გიგი უგულავას არ რცხვენია, ამას რომ ამბობს? ბანერების დაზიანება მათ მიერ პროვოცირებული და მათი დადგმული შოუა. ბანერების დაზიანებას ადგილი არ ჰქონია. ჩემი ბანერებისთვის თითი არავის დაუკარებია.

უნდა გენახათ, რა ხდებოდა გიგი უგულავას შტაბში არჩევნების შედეგების ღამეს. გიგი უგულავას შტაბშიც აღნიშნავდნენ წარმატებას.

– რა წარმატებას?

– ისინი აღნიშნავდნენ არა გამარჯვებას, არამედ წარმატებას, რომ 29 აპრილიდან გიგი უგულავასა და გიგა ბოკერია ჯალათის პოლიტიკური გუნდი 38%-იან პოლიტიკურ ძალად იქცა. ეს მათთვის იყო უდიდესი წარმატება. კარგად იცოდნენ, რომ პირველი ვერ იქნებოდა. ამ ეტაპზე „ოცნებას“ ჯერ კიდევ აქვს რესურსი, რომ ნებისმიერი არჩევნები მოიგოს და მოიგო კიდეც.

ჩვენ ხელისუფლებასა და ყოველ ამომრჩეველს ვთავაზობდით მესამე ძალას. ის პროცენტები გიგი უგულავას არ უნდა წაეღო და მესამე ძალისთვის იყო განკუთვნილი. ხელისუფლებამ უზრუნველყო ის, რომ უგულავამ წაიღო 38% და არა – მამუკა ტუსკაძემ, ვთქვათ, 10%. ეს გააკეთა ხელისუფლებამ და ხელისუფლება ამის შედეგებს უახლოეს პერიოდში მოიმკის.

ნუკრი ქანთარია: „ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი არ ჰქონდა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი, დეპუტატი ნუკრი ქანთარია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, თქვენ პოლიტსაბჭოს წევრი ხართ. ამბობენ, რომ მთლიანად იცვლება შემადგენლობა, რამდენიმე ადამიანის გარდა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო თვისობრივად რომ უნდა შეიცვალოს და ახალი სიცოცხლე შეიძინოს, ეს ცხადია, თუმცა, მისი შემადგენლობიდან ვინ შეიცვლება და რატომ, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ახალი, გაცილებით ქმედითი ფუნქცია რომ უნდა შეიძინოს, ეს ეჭვგარეშეა.

– რატომ დადგა ამის საჭიროება?

– ფუნქცია დაკარგული ჰქონდა, ერთი წელი საერთოდ არ შეკრებილა. რის გამო ხდებოდა, ტექნიკურად იყო ეს რთული თუ რატომ, არ ვიცი.

– საერთოდ არ იკრიბებოდა პოლიტსაბჭო?

– 2016 წლის შემდეგ საარჩევნოდ კანდიდატები წარადგინეს. იმის შემდეგ მე არ მახსენდება, რომ შეკრებილიყო. მთელი ეს მოვლენები

„ახლა ყველა თავის ადგილს მონახავს“



ერთი წლის განმავლობაში პოლიტსაბჭოს მიღმა იყო დარჩენილი.

– თქვენ განაცხადეთ, რომ გიორგი კვირიკაშვილის განსაკუთრებული წვლილი არ უნდა იყოს დავიწყებული და ის უნდა დარჩეს პოლიტსაბჭოს წევრად.

– დიახ, გიორგი კვირიკაშვილმა უდიდესი წვლილი თავისი ადამიანობით, პიროვნული თვისებებითა და პროფესიონალიზმით შეიტანა იმაში, რომ ამდენი ხნის განმავლობაში გუნდის ერთიანობა ყოფილიყო შენარჩუნებული. ეს არის გიორგის ძალიან დიდი დამსახურება. ამ პერიოდამდე მან მოიყვანა ეს ერთობა თავისი მაღალი პიროვნული თვისებებით და პირნათლად.

– ბატონო ნუკრი, ივანიშვილის დაბრუნებით ამოწურულია ის ინციდენტი, რომელიც ორი კვირის განმავლობაში უმრავლესობის შიგნით იყო?

– ამ მოვლენამ, რასაკვირველია, ახლა დაჩრდილა გუნდში არსებული უთანხმოება, ამიტომ ამან ახლა უკანა პლანზე გადაიწია. ახლა სწორედ დალაგების პროცესია, ყველაფერი გამოიკვეთება, ვფიქრობ, ყველა თავის ადგილს მონახავს.

– ივანიშვილის დაბრუნებას თქვენ რას უკავშირებთ?

– მე მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ეს არ იყო ადვილად მისაღები გადაწყვეტილება, მაგრამ, როგორც პატრიოტმა კაცმა, მან მიიღო ეს გადაწყვეტილება. ეს პასუხისმგებლობა აიღო მან, როგორც ჩანს, პერსპექტივაში გარკვეული საფრთხეები დაინახა და ჩათვალა, რომ დროზე უნდა შემოვიდეს სწორედ ამ პროცესებში.

– საფრთხეები რას შეიძლებოდა დამუქრებოდა, პარტიას თუ უფრო დიდი იყო ეს საფრთხე?

– გარკვეულწილად, იმ მიზნების ჩავარდნის საფრთხე დაინახა, რომლებიც მას დასახული აქვს საერთოდ. ამიტომ, ბუნებრივია, ჩაერთო. ისე, მე ვიცი, რომ მას ეს სურვილი არ ჰქონდა. მისი დაბრუნება გარდაუვალი აუცილებლობა გახდა.

– ბატონო ნუკრი, თქვენ თქვით, რომ ტყუილად არ ყოფილა თქვენი ხმაური, ჟივილ-ხივილი. ფიქრობთ, რომ „ძველებმა“ გაიმარჯვეთ?

– არა, არა, აქ არავის გამარჯვება-დამარცხებაზე ნამდვილად არ არის საუბარი, თუმცა, ვფიქრობ, გარკვეულწილად, ალბათ ამანაც განაპირობა ბატონი ბიძინას გადაწყვეტილების მიღება.

– რას გულისხმობთ?

– საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით საჯაროდ გამოთქმულ განსხვავებულ აზრებს და გარკვეული დაპირისპირებაც შეინიშნებოდა. ეს საჯაროდ ხდებოდა და აქ დასამალი არც არაფერი არ არის. იმედი მაქვს, ახლა პროცესები წავა უფრო დადებითი მიმართულებით, გაჯანსაღებისკენ. „ქართული ოცნების“ სათავეებს, საწყისს, სწორედ იმ იმპულსებს, იმ სულისკვეთებას, რომელიც იყო და რატომაც ხალხმა აგვირჩია, საფრთხე არ დაემუქრება.

მიხეილ სააკაშვილი: „მთავარ შულერს მაგიდა უნდა ავუყირავოთ“

შორენა მარსაგიშვილი

ოპოზიციის ერთი ნაწილი მიხეილ სააკაშვილის გარშემო გეგმავს გაერთიანებას. გასულ უქმეებზე რამდენიმე ლიდერმა საქართველოს მესამე პრეზიდენტს ამსტერდამში ჩააკითხა.

მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე კვირაა ამტკიცებს, რომ საქართველოში ბრუნდება. ხელისუფლების მომხრეებმა მასთან დაკავშირებით სკანდალური ინფორმაცია გაავრცელეს. მეოცნებეთა მტკიცებით, ნაციონალურმა მოძრაობამ მესამე პრეზიდენტისთვის უკვე შეიძინა დაჯავშნილი მანქანა.

ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრაზე მესამე პრეზიდენტი ველოსიპედით მივიდა. ამის ამსახველი ვიდეომასალა სოციალურ ქსელში დეპუტატმა ნიკა მელიამ გამოაქვეყნა.

ამსტერდამში გამართულ შეხვედრაზე ვანსა და ხონში ჩატარებული შუალედური არჩევნებიც განიხილეს. აქ გამარჯვება ხელისუფლების კანდიდატ გივი ჭიჭინაძეს დარჩა. მის მთავარ კონკურენტად გიგი უგულავა ითვლებოდა, რომელიც ახლო წარსულში სააკაშვილის თანამებრძოლი იყო. 2016 წლის ბოლოს მათი გზები გაიყარა.

„ევროპული საქართველო“ ხშირად გამხდარა სააკაშვილის რისხვის ობიექტი. ამჯერად ყოფილი პრეზიდენტი მათ თანამშრომლობას სთავაზობს.

– მე გამახარებდა გიგი უგულავას ვანი-ხონის არჩევნებში გამარჯვება, მაგრამ ამის 1% შანსიც კი არ არსებობდა. არ შეიძლება, შულერების მაგიდას მიუჯდე კარტის სათამაშოდ. ჩვენ მთავარ შულერს ეს მაგიდა უნდა ავუყირავოთ! სწორი ის იქნება, გიგიც და მისი თანაპარტიელებიც თუ შემოგვიერთდებიან შულერების ხელისუფლებიდან განდევნაში, – დაწერა სააკაშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

მის შეთავაზებას „ევროპული საქართველოდან“ ირაკლი კიკნაველიძე გამოეხმაურა. ის კმაყოფილია, რომ სააკაშვილს „ევროპული საქართველო“ აღარ გაულანძღავს, მაგრამ ხაზგასმით ამბობს, რომ 28 აპრილის არჩევნებიდან მან მათგან განსხვავებული დასკვნა გამოიტანა.

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ ოპოზიციური პარტიების აქტიურობა და ოპოზიციური ამომრჩევლის არჩევნებზე მობილიზება არის ხელისუფლების შეცვლის ის ერთადერთი გზა, რომელიც ჩვენს დემოკრატიასა და მომავალ კეთილდღეობას აწყობს. როცა ვსაუბრობთ თანამშრომლობაზე, სანამ საპრეზიდენტოზე დავიწყებდით საუბარს, ამის შესაძლებლობა სხვაგანაც იყო, მაგალითად, ვანსა და ხონში. ამ არჩევნებმა დაადასტურა, რომ ბოიკოტი არასწორი არჩევანია, არასწორია არჩევნების მიმართ უიმედობის დანერგვა.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, აქაც მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ერთმანეთთან ხიდები არ დავწვათ, რადგან ეს არჩევნები გვაძლევს შანსს, რომ პირველი ტური იყოს ბუნებრივი პრაიმერიზი ოპოზიციურ პარტიებს შორის, რომელიც გამოავლენს ერთ ძლიერ კანდიდატს, ხოლო მეორე ტურში შევძლებთ, რომ ყველა ოპოზიციურმა პროდასავლურმა ძალამ დავუჭიროთ მხარი ყველაზე ძლიერ კანდიდატს, – განაცხადა ირაკლი კიკნაველიძემ.

ლევან ხაბეიშვილი: „ქვეყანას ქართულ ენაზე მოლაპარაკე რუსული ხელისუფლება მართავს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავრობის მეთაური გიორგი კვირიკაშვილი ისევ შარშია. მას პრობლემები ამჯერად იმიტომ შეექმნა, რომ ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ენას კბილი ვერ დააჭირა.

ცოტა ხნის წინ ლუკაშენკო საქართველოს სტუმრობდა. მას ჩვენმა პრემიერმაც უმასპინძლა და მოსახდენიც იქ მოხდა, ხოლო იმაზე, რაც აქ მოხდა, ბელორუსის პრეზიდენტმა ქვეყნის პარლამენტში გამოსვლისას ისაუბრა.

– საქართველოს პრემიერი 75%-ით რუსი ადამიანია. მასთან ერთად ვიჯექი მაგიდასთან და ქართულ ღვინოს ვაგემოვნებდი. ადამიანი გაიხსნა და თითქმის აცრემლებულმა დამიწყო ლაპარაკი რუსეთის მიმართ მის დამოკიდებულებაზე, – აღნიშნა ენაჭარტალა ლუკაშენკომ.

ამ გამოსვლის საპასუხოდ საქართველოს პრემიერის პრესსამსახურმა განცხადება გაავრცელა, სადაც ვკითხულობთ:

– პრემიერმა აღნიშნა, რომ რუსი ხალხის მიმართ საქართველოში არავის აქვს აგრესია, ქვეყანაში რუსეთიდან 1.5 მილიონი ტურისტი შემოდის და არანაირი დაპირისპირება არ ხდება. ამავე კონტექსტში გიორგი კვირიკაშვილმა ბელარუსის პრეზიდენტს უთხრა, რომ რუსი ბებია ჰყავდა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ხალხთაშორისი, ჰუმანიტარული და კულტურული კავშირები არსებობს.

პრესსამსახურის განცხადების თანახმადვე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზების პერსპექტივაზე საუბრისას პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში არსებობს წითელი ხაზები და ეს არის საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ამ მიმართულებით კი რუსეთის ხელისუფლება ნაბიჯებს არ დგამს.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ლევან ხაბეიშვილისთვის მთავრობის მეთაურის ცრემლები მოულოდნელობა არ აღმოჩნდა. მისი თქმით, ქვეყანას მართავს რუსული ხელისუფლება, რომელიც ქართულად ლაპარაკობს.

რას ელოდება საქართველოს რუსული ხელისუფლებისგან და რა სიახლე გაიგო კვირიკაშვილზე? – ამის შესახებ ლევან ხაბეიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ბელორუსის პრეზიდენტს თუ დავუჯერებთ, პრემიერ კვირიკაშვილს ძალიან უყვარს რუსეთი და ამ ქვეყანაზე ცრემლმორეული საუბრობდა. ამას საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– სიმართლე გითხრათ, პრემიერის ცრემლები არ გამკვირვებია. გიორგი კვირიკაშვილისთვის რომ რუსეთი ძვირფასია, არც ეს არის ახალი ამბავი. ერთადერთი სიახლე პრემიერის პრესსამსახურის განცხადებიდან შევიტყვე, სადაც წერია, რომ კვირიკაშვილს რუსი ბებია ჰყოლია.

– რაც დანაშაული სულაც არ არის.

– რუსი ბებიის ყოლა არავისთვის არის დანაშაული. დანაშაული ის დამოკიდებულებაა, რომელსაც ოლიგარქის ხელისუფლება რუსეთის მიმართ იჩენს. სადღაც წავიკითხე, რომ საქართველოს ჰყავს რუსული ხელისუფლება, რომელიც რუსულად ვერ ლაპარაკობს. მეც იმავეს ვიტყოდი – ქვეყანას მართავს ქართულ ენაზე მოლაპარაკე რუსული ხელისუფლება. რუსულადაც დიდი სიამოვნებით ისაუბრებდნენ, მაგრამ ენა არ იციან.

რატომ გიკვირთ კვირიკაშვილის ცრემლები? ამ ცრემლებამდე არ მისწერა პრემიერმა რუსეთს წერილი? ეს მაშინ გააკეთა, არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის დაბრუნებას რომ ვერ ახერხებდა. ხანდახან თუ გააკრიტიკებენ რუსებს, ეგ არაფერი. ზოგჯერ შეიძლება ოკუპანტიც დაუძახონ, გულში კი სხვანაირად ფიქრობენ.

თავიანთი რუსული მიდრეკილებების გადაფარვა ერთი ქართული ანდაზით სურთ – დათვი თუ მოგერია, ბაბაია უნდა დაუძახოო. მოსკოვს ყველა მითითებას უსრულებენ, მაგრამ, საკმარისია, დასავლეთმა რამე მითითება ან რჩევა მოგვცეს დემოკრატიასთან დაკავშირებით, წივილ-კივილს იწყებენ. დათვს თუ ბაბაიას ეძახიან, დასავლეთის მოთხოვნებს რატომ არ ითვალისწინებენ, რუსეთია ძლიერი და ევროპა-ამერიკა სუსტია?

საერთაშორისო ორგანიზაციებს სულ მოსყიდულებს უწოდებენ, რუსების სიტყვა კი ამათთვის კანონია.

ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა სამეგრელოს გუბერნატორმა, შონიამ, რომელსაც კონტრაბანდის მფარველობაში ადანაშაულებენ. აფხაზეთიდან რომ კონტრაბანდა შემოდის, ამას აღარც გუბერნატორი უარყოფს, უბრალოდ ამბობს, ამას კონტრაბანდას რატომ ეძახით, აფხაზეთი საქართველო არ არისო.

– მაგ ლოგიკით შესაძლოა ისიც თქვან, აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენას რატომ ეწინააღმდეგებით, აფხაზეთი საქართველო არ არისო. ამ რკინიგზის ამოქმედებას დიდი ხანია ითხოვს რუსეთი. თქვენი აზრით, მოსალოდნელია ამ რკინიგზის აღდგენა?

– რუსეთი ითხოვს და დათანხმდებიან, გვეტყვიან, დათვი მოგვერია და ბაბაია უნდა დაუძახოთო. აგერ სამეგრელოს გუბერნატორი გვეუბნება, კონტრაბანდაზე როგორ საუბრობთ, აფხაზეთი რა, საქართველო არ არისო? ამ რკინიგზასაც გახსნიან და კიდევ ბევრ უბედურებას ჩაიდენენ. ხსნა მათ სახლში გაშვებაშია. ყველამ უნდა გაიგოს, რომ რუსი ოლიგარქის მოყვანილი ხელისუფლება საქართველოს სამსახურში არასდროს იქნება.

რას გეგმავს რუსეთი სირიაში?

ყაზახეთი უარყოფს ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსებას თავის ტერიტორიაზე

მარიამ მჭედლიშვილი

ევრაზიაში მიმდინარე პროცესები რუსეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ჯერჯერობით კრემლი არ თმობს პოზიციებს სირიაში. სირიის საკითხის გამო მოსკოვთან თანამშრომლობას აგრძელებენ ანკარა და თეირანი.

ევროპელი ექსპერტების ინფორმაციით, პუტინი გეგმავს ბაშარ ასადის არმიის მომარაგებას დამატებითი თავდაცვის კომპლექსებით. ეს გამოძახილია ვაშინგტონი-პარიზი-ლონდონის ავიაიერიშზე. რუსეთს უნდა იმის ჩვენება, რომ სირიაში მოვლენების განვითარებას კრემლი განაპირობებს.

ევროპელი ანალიტიკოსები დარწმუნებული არიან იმაში, რომ პუტინი გააგრძელებს ასადის მხარდაჭერას. მას პარტნიორები სჭირდება. სირიის რეჟიმი რუსეთის მოკავშირეა. გარდა ამისა, რუსეთი სირიიდან აკონტროლებს სხვა მეზობელ სახელმწიფოებს. სირიაში რუსეთი იყენებს პორტს. სირია შეისყიდის რუსულ იარაღს. სირიაში აგრესიული მოქმედებებით რუსეთი ცდილობს, დიალოგზე დაიყოლიოს დასავლეთი.

ბალკანეთის ქვეყნების ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ რუსეთის მხრიდან ესკალაციას ევროპაში. მათი აზრით, რუსეთი ბოსნია-ჰერცეგოვინაში აღმოსავლეთი უკრაინის მსგავსად იმოქმედებს. ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბულ ნაწილში კრემლს ჩაფიქრებული აქვს სამხედრო სტრუქტურის შექმნა. თუ შეიქმნა, ეს სამხედრო ნაწილი მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს ევროკავშირს. ბოსნია-ჰერცეგოვინაში ჩასულმა რუსეთის დეპუტაციამ ამ დღეებში გამოაცხადა, რომ ამ სახელმწიფოს წევრობა ევროკავშირსა და ნატოში დაემუქრება რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

რუსეთს თავსატეხი სხვა რეგიონშიც გაუჩნდა. რუსეთი და ირანი ყაზახეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებებით განაწყენდნენ. ყაზახეთისა და აშშ-ის შეთანხმებით, ავღანეთიდან მომავალი ამერიკული ტვირთების ტრანზიტისთვის კასპიის ზღვაზე ყაზახეთის პორტები – აკტაუ და კურიკი გამოიყენება. ადრე მთავარი სატრანზიტო მაგისტრალი პაკისტანზე გადიოდა. პაკისტანთან ამერიკის ურთიერთობების დაძაბვამ მოითხოვა სატრანზიტო მიმართულების შეცვლა.

რუსეთისა და ირანის აზრით, ეს ხელს შეუშლის კასპიის ზღვის სტატუსის საკითხის გადაწყვეტას. გავრცელდა ინფორმაცია იმაზე, რომ ყაზახეთი აკტაუში ამერიკულ სამხედრო ბაზას ათავსებს. ყაზახეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ეს უარყვეს. მათი განმარტებით, აკტაუს ახალი სატრანზიტო ფუნქცია ენიჭება და ეს არ არის დაკავშირებული სამხედრო მიზნებთან.

რუსეთს ბოლო დროს ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის არ სცალია. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს რეგიონი ამერიკისთვისაც ადრე უფრო მნიშვნელოვანი იყო. თუ აშშ-ს ავღანეთში კონტინგენტი არ ეყოლება, ვაშინგტონი აზიის ამ ნაწილით ნაკლებად დაინტერესდება.

რეგიონის ქვეყნებს არასტაბილურობის შიში აქვთ, ამიტომ ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობას აძლიერებენ. ყაზახეთს სჭირდება სიმშვიდე ტაჯიკეთში – თუ ტაჯიკეთში სოციალური კოლაფსი და ეკონომიკური კრიზისი იქნება, ამით ისარგებლებენ შეიარაღებული დაჯგუფებები.

რეგიონისთვის სახიფათოა მეზობელ ავღანეთში მიმდინარე პროცესები. რეგიონის ლიდერები ცდილობენ, იმოქმედონ ამ მიმართულებით. ტაშკენტში გამართულ კონფერენციაზე მიიღეს დეკლარაცია, სადაც საუბარია მოძრაობა „თალიბანთან“ მოლაპარაკებების დაწყებაზე.

„თალიბანი“ იქ ექსტრემისტად და ტერორისტად მოხსენიებული არ ყოფილა.

„Kreis-Anzeiger“ (გერმანია): როგორ იწვრთნებიან ქართველი ჯარისკაცები ფოგელბერგში

გერმანული გამოცემის „Kreis-Anzeiger“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია გერმანიაში, ჰესენის მხარის ფოგელბერგის რაიონში, ქალაქ ლაუტერბახის ახლოს მდებარე ბაზაზე მყოფი 140 ქართველი ჯარისკაცების წვრთნის პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები.

„ახალი თაობა“ გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვარიანტს.

პუბლიკაციაში ყურადღება ეთმობა საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ბატალიონის მომზადებას ნატოს „სწრაფი რეაგირების ძალების“ ჩარჩოებში, რომელიც ამა წლის იანვრიდან მიმდინარეობს. ექვსთვიანი წვრთნის პროცესში ქართველი მეომრები სრულყოფილად ეუფლებიან ნატოს სამხედრო ტექნიკას, რომელიც გამოიყენება როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო ოპერაციებში (სამაშველო თვალსაზრისით).

სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართველი ჯარისკაცების მაღალ დონეზე მომზადების მიზნით პოლკოვნიკმა ვილი დეჰერტმა საგანგებოდ შეიმუშავა ფოგელბერგის სხვადასხვა ადგილებში წვრთნის ჩატარების პროგრამა.

ქართველ ჯარისკაცებთან საუბრის მიხედვით ჩანს, რომ ისინი ძალიან კმაყოფილნი არიან მომზადების პროცესით: „ჩვენ ყველაფერს მაღალ დონეზე გვასწავლიან – ვრცლად და გასაგებად“, – ამბობენ ისინი. ქართველი ჯარისკაცები სიამოვნებით ეცნობიან აგრეთვე ფოგელბერგის მხარის ღირსშესანიშნაობებს, ეწყობა ექსკურსიები, გასეირნება ქალაქებში, ისინი ყიდულობენ სუვენირებს და ა.შ.

ბატალიონის მომზადების პროცესი საბოლოოდ ლეტცლინგენის საბრძოლო მომზადების ცენტრში დასრულდება. ქართველი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნდებიან, ორი კვირის შემდეგ კი მათ დანიშნულების ადგილზე – ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მაზარი-შარიფში გადაიყვანენ ნატოს კონტინგენტში საბრძოლო სამსახურის გასავლელად.

რას ითხოვს თუშეთში დაბრუნებული ახალგაზრდა სახელმწიფოსგან

„ზაფხულობით ყოველ წელს აქ ვიყავი, მაგრამ ზამთარში არ ვყოფილვარ. ყველა იმას მეუბნებოდა, შესაწყენიაო. მე არ შემწყენია. ვაპირებ, რომ მომდევნო წლებშიც დავრჩე და ვნახოთ, რა იქნება“.

გოჩა რაინაული 36 წლის არის. წარმოშობით თუშეთის სოფელ ვესტმოდანაა, თუმცა გომეწრის ხეობის ამ სოფლამდე სამანქანო გზა არასდროს ყოფილა. ზამთარში იქ არც არავინ რჩება. გოჩამაც სოფელ შენაქოში გამოიზამთრა – ბოლო 8 წლის განმავლობაში ის ამ სოფლის მეოთხე მცხოვრები პირველად იყო.

„მაინტერესებდა ზამთარში მთაში ცხოვრება როგორი იყო. უფრო ამ მიზნით დავრჩი. აქ საქონელს ვუვლი, თორმეტი ძროხა მყავს მოსაგები, შვიდი ცხენი, ფრინველი. მთაში უფრო მარჯვეა საქონლის შენახვა, მაგრამ მეტი შრომა სჭირდება. ყველაფერს ხელით ვაკეთებ. ხელით ვთიბავ, თივას ხელით ვაგროვებ, საპრესი ძველი იყო და გაფუჭდა, აღარ ვარგა. ბალახი ხელით შევიტანეთ საფარში და ზვინებად დავდგით. საქონლის შესანახად დაახლოებით 2 ათასი ცალი პრესი მაინც მინდა. ტექნიკა საერთოდ არ გვაქვს. ძროხასაც ხელით ვწველი, ყველსაც ხელით ვაკეთებ, მამაპაპური წესით.

„მთავრობისგან არანაირი ტექნიკური ხელშეწყობა არ გვაქვს. კოოპერატივი შექმენით და დაგეხმარებითო, გვითხრეს, მაგრამ კოოპერატივი ვისთან ერთად შევქმნა? სულ 4 ადამიანი ვართ მთელ შენაქოში“.

1978 წლიდან შენაქოში მუდმივად ცხოვრობენ კაკო ბუქვაიძე და მისი მეუღლე ელიკო. რამდენიმე წელია, შენაქოში იზამთრებს კაკოს ბიძაშვილი, ელდარ ბუქვაიძეც.

გოჩას მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. ოჯახის წევრები ბარში, სოფელ ქვემო ალვანში დატოვა: „ზამთარში ცოლ-შვილი აქ ვერ ამომყავს. ბავშვები სკოლაში დადიან. თუშეთში სკოლა არ არის. ამიტომ, ოჯახში არ გვისაუბრია ამ თემაზე – იცხოვრებდნენ თუ არა ჩემთან ერთად თუშეთში მუდმივად. მე მომწონს აქ ცხოვრება. მართალია ალვანში ბევრი ხალხია, აქ ავსაც და კარგსაც მოწყვეტილი ხარ, მაგრამ ტელეფონი მუშაობს, დღისით ინტერნეტიც გვაქვს, სოციალურ ქსელებში ინფორმაციას ვეცნობი, მეგობრებს ვუკავშირდები. ვერტმფრენი კვირაში ერთხელ დაფრინავს. რამე რომ გაგიჭირდეს, იზამ რაღაცას. ვერტმფრენი ჩვენთვის დიდი შეღავათია“.

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის დავალებით თუშეთის მიმართულებით ყოველკვირეული ფრენები 2017 წლის გაზაფხულიდან სრულდება, ნოემბრიდან მაისის ჩათვლით. ამ პერიოდში, თითქმის 7 თვის განმავლობაში, თუშეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი საავტომობილო გზა აბანოს უღელტეხილზე დიდთოვლობისა და ზვავების გამო დაკეტილია. ვერტმფრენით თუშეთში მგზავრობა იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვინც იქ ცხოვრობს, ფერმერულ საქმიანობას ეწევა ან დროებით სამუშაოებზეა დასაქმებული. მგზავრობა უფასოა.

„რთულია, დაახლოებით 6-7 თვე გზა რომ არ გვაქვს. შენაქოს გარდა, შუქიც არ არის თუშეთის სხვა სოფლებში, ბევრგან ტელეფონიც არ იჭერს. ეს აფრთხობს ბევრ ადამიანს, ვისაც უფიქრია აქ ცხოვრებაზე. სახელმწიფომ ცოტა მეტი რომ იზრუნოს, შუქი რომ იყოს რამდენიმე სოფელში, ტელეფონი და სკოლა – პანსიონით, შეიცვლებოდა სიტუაცია, დარჩებოდა აქ ხალხი. ზოგი საქონელს მოაშენებდა, ზოგი ფუტკარს. წელანაც გითხარით, მე მჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა – ტრაქტორის სათიბი მაინც მოგვცენ სოფელს. პროგრამები მთის სოფლებში არსებულ მდგომარეობას უნდა მოარგონ, რამდენი ადამიანიც ვართ, იმის გათვალისწინებით უნდა შეძლონ აქაურების მხარდაჭერა“, – ამბობს გოჩა.

თუშეთში, რომელიც ზღვის დონიდან 1900-2400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, 52 სოფელია. მათი დიდი ნაწილი დაცლილია. წელს, ზამთარში მთელ თუშეთში მხოლოდ 22 ადამიანი დარჩა, აქედან 4 სოფელ შენაქოში, 18 კი – ქვემო ომალოში. მოზამთრეებიდან სამია ახალგაზრდა, ნინო გაწერიძე – თუშეთის ექთანი, რომელიც მთაში 2 შვილთან ერთად ცხოვრობს; 36 წლის ზურაბ იჭირაული – დასაოჯახებელი და გოჩა რაინაული.

ერთ თვეში, როცა თუშეთი ახმიანდება, გოჩა თავისი ცხენებით ტურისტებს თუშეთის ხეობებში, ასევე თუშეთიდან ხევსურეთში და, პირიქით, ხევსურეთიდან თუშეთში უმეგზურებს.

მთის ამბები

„ამ ეტაპზე საქართველო WELLNESS ტურიზმისთვის მზად არის“

– თუ სწორად დავგეგმავთ და განვავითარებთ WELLNESS ტურიზმს, ჩვენ შეგვიძლია, კონკურენცია გავუწიოთ თურქეთს, სადაც მაღალი ხარისხის მომსახურებაა და ინფრასტრუქტურაც დახვეწილია.

ამის შესახებ ტუროპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ია თაბაგარი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრობს.

მისი თქმით, საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ სამკურნალო ტურიზმის მიმართულება განვითარდეს.

– ქვეყანაში სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი მაღალია, მაგრამ – შესაბამისი და დახვეწილი.

ინფრასტრუქტურა ძალიან ცოტაა. გაგვაჩნია ბუნებრივი რესურსები, რასაც სჭირდება სხვა უზრუნველყოფა: კომფორტი შესაბამისი ადამიანური რესურსი, პოზიციონირება და მარკეტინგი. ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით, რომ საქართველო WELLNESS ტურიზმისთვის მზად არის. ქვეყნები, სადაც WELLNESS ტურიზმი განვითარებულია, ტურისტებს არჩევანს სთავაზობენ. ჩვენთან დიდი არჩევანი არ არის, თუმცა სამკურნალო ტურიზმის განვითარება შესაძლებელია, – აცხადებს ია თაბაგარი.

კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს სტრატეგია და როგორ უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანამ, რომ სამკურნალო ტურიზმის მიმართულება შემოსავლის მომტანი იყოს, თაბაგარი პასუხობს, რომ პრიორიტეტი უნდა იყოს ჯანსაღი და მდგრადი გარემო, მომსახურების ხარისხი, მიმზიდველი ინფრასტრუქტურა და სხვა მრავალი ფაქტორი.

„სტრატეგია უნდა დაიწეროს არა მხოლოდ სამკურნალო ტურიზმის, არამედ ყველა მიმართულებით. დეტალურად, კალენდარულად უნდა გაიწეროს, რომელ ეტაპზე რა გაკეთდება, რა პირობებია ინვესტირებისთვის, ვისთვის იქნება გათვლილი WELLNESS ტურიზმი და პარალელურად უნდა ხდებოდეს პროფესიული კადრების აღზრდა/გადამზადება. ამას წლები სჭირდება. ზოგადად ტურიზმი ისე უნდა დავგეგმოთ, რომ ის მდგრადი გახდეს თავისი მიმზიდველი

სუფთა ბუნებით, კულტურით, მაღალი ხარისხით და ა.შ.

რაც შეეხება კონკრეტულად სამკურნალო მიმართულებას, სჯობს, ხარისხი იყოს მაღალი, ჩამოვიდეს შედარებით ნაკლები ტურისტი, მაგრამ – მაღალბიუჯეტიანი, რაც ნაკლებად დააზიანებს გარემოს. ასევე, ყველამ გადაიხადოს გადასახადი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას“, – განმარტავს ტუროპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელი.

მისივე თქმით, ოფიციალური კვლევა არ არსებობს, თუ რა წილი უკავიათ იმ ტურისტებს, რომლებიც საქართველოში სამკურნალო დანიშნულებით შემოდიან. ია თაბაგარის თქმით, სახელმწიფოს ინიციატივით მსგავსი კვლევები უნდა ტარდებოდეს.

– როცა განვითარებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, ვინ რისთვის ჩამოდის, რა მოთხოვნილებები გააჩნიათ, რა მოსწონთ, ან რა არ მოსწონთ. ასეთ შემთხვევაში გვეცოდინება, რამდენი ტურისტი შემოდის საშუალოდ ქვეყანაში, ვინც სამკურნალო მიმართულებით არის დაინტერესებული და რამდენად აკმაყოფილებთ არსებული პირობები, – აცხადებს თაბაგარი.

თაბაგარის თქმით, გვაქვს ბევრი სამკურნალო ადგილი, სადაც სპეციალური ტალახი, მინერალური წყლებია, სასარგებლო ჰაერია, თუმცა ამ რესურსს სათანადოდ ვერ ვიყენებთ.

როგორ დავაინტერესოთ ევროპა ქართული ღვინით?!

ცოტა ხნის წინ საფუძვლიანი იყო ვარაუდი, რომ ევროკავშირთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიღწეული ვაჭრობის სფეროში პარტნიორობის დოკუმენტი ქართული ღვინის ბიზნესისთვის დიდი „სტიმულატორი“ გახდებოდა და ქართული მეღვინეობა ჩინური და რუსული ბაზრიდან თავისუფალი სამყაროს მოთხოვნებზე ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყობოდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ევროპასთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის გამოუყენებლობის ძირითად მიზეზს ღვინის საწარმოთა დაბალი ინტერესი წარმოადგენს. გამოკითხული კომპანიების 63% აცხადებს, რომ აღნიშნული სავაჭრო რეჟიმით დაინტერესებული არ არის. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ზოგადად, გამოკითხულ კომპანიებში ძალიან მცირეა ექსპორტით დაკავებული საწარმოები. თუმცა, თუ ექსპორტიორ კომპანიებს ცალკე გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ მათი 70% არ იყენებს აღნიშნულ რეჟიმს და, თითქმის, ნახევარი (46%) – არც არის ამით დაინტერესებული.

ღვინის ექსპერტების აზრით, სამწუხაროა რომ დასავლეთში მაღალი ხარისხის, არომატული ბუკეტით სავსე ქართული, ღვინოები ჯერ კარგად არ იციან. როგორც ცნობილია, ევროპაში მოთხოვნები სხვა არის. ასევე კონკურენციის გაწევა ცნობილ ქვეყნებთან გვიწევს, რაც ამ ერთი, პატარა ქვეყნისთვის არც ისე ადვილია. თუმცა ბევრ მეღვინეს იმედი აქვს, რომ მიმდინარე მოვლენები ძალიან დაგვეხმარება ჩვენი ქვეყნის და ქართული ღვინის პოპულარიზაციაში...

თავისუფალ სამყაროში, სწორად მიტანილ ღვინოს პირველ რიგში დიდი ცნობადობა მოაქვს. თუმცა აქაც სიფრთხილეა საჭირო და განსასაზღვრია, თუ რამდენად სწორად მივაწვდით ინფორმაციას ქართულ მევენახეობა-მეღვინეობაზე. ექსპერტები ქართულ ღვინის მარნებს ურჩევენ, რომ პირველ რიგში იფიქრონ ხარისხზე და მერე რაოდენობაზე.

ქართული მცირე მარნების მფლობელების უმრავლესობა დასავლეთის ბაზარს ისევ იმედის თვალით უყურებს. უკვე ბევრს ღვინის რეალიზაციის პრობლემაც მოხსნილი აქვს და მათთვის მთავარი ქართული ღვინის სხვა ღვინოებთან ხარისხობრივი კონკურენციაა.

ევროპასთან და ზოგადად, ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაცია რომ საქართველოს მოსახლეობის არჩევანია, ეს ევროკავშირთან ხელმოწერილმა ხელშეკრულებებმაც დაადასტურეს და არავინ დაობს იმაზე, რომ ამ სამყაროსთან ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ქართული ღვინის ბიზნესის მაგალითიც გვიჩვენებს, რომ ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირებით სასურველი „ხეირი“ საქართველოს ჯერ არ უნახავს და ქართული პროდუქტები – პირველ ყოვლისა კი ღვინო – ძირითადად ძველი, კარგად ნაცნობი და „გათელილი“ გზით კვლავ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გადის, სადაც ხარისხზე დიდი მნიშვნელობა სასმელის სიიაფეს ენიჭება.

ღვინის ექსპერტები და მარკეტინგის სპეციალისტები იმაზე თანხმდებიან, რომ ქართულ ღვინოს, ქვეყანაში წარმოებული ღვინის საერთო მცირე მოცულობის გამო, მსოფლიოს ღვინის ბაზარზე იაფფასიან სეგმენტში კონკურენციას ნაკლებად გასწევს. ფაქტია, რომ ჩვენი ღვინის ადგილი საშუალო და ძვირ საფასო სეგმენტში უნდა ვეძიოთ.

ევროპამ ერთ წელიწადში ტურიზმიდან 342 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო

„მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის“ ანგარიშის მიხედვით, ევროპა ტურისტებისთვის მიმზიდველობის მხრივ კვლავ უპირველეს რეგიონად რჩება.

ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, გასულ წელს ევროკავშირის ქვეყნებს 538 მილიონი ტურისტი ეწვია, რაც წინა წელთან შედარებით 8%-ით მეტია, ხოლო თავად ევროკავშირზე მსოფლიო ტურისტების 40% მოდის.

ამავე ანგარიშის მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებმა ტურიზმისგან 342 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღეს – ეს კი 30%-ზე მეტია მსოფლიო ტურიზმის შემოსავლებისა. ევროკავშირის მცხოვრებლებმა მიიღეს იმაზე მეტი შემოსავალი ტურიზმისგან, ვიდრე თავად დახარჯეს მოგზაურობებში. მათ ამავე პერიოდის განმავლობაში 315 მილიარდი დოლარი დახარჯეს.

ევროკავშირის ტერიტორიაზე ამ დროისთვის 2 მილიონამდე კომპანია მუშაობს, რომელიც ტურიზმთან არის დაკავშირებული. მასში დაკავებულია 12 მილიონი ადამიანი. ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის მშპ-ში ტურიზმის წილი 11%-ს აღწევს.

– ტურიზმის სფეროში სტაბილური ზრდა ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის საწინდარი გახდა და მან ევროპულ ქვეყნებში სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყო ხელი, – განაცხადა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა.

პოლოლიკაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს არის ევროკავშირში სამუშაო ადგილების შექმნის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ნაწილი. ის დარწმუნებულია, რომ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასა და ევროკავშირს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ამ სექტორის მდგრადობას შეუწყობს ხელს.

მსოფლიოს 10 ქალაქს შორის Holiday Inn-ში დასვენება ყველაზე იაფი ბუდაპეშტშია – რა ღირს სასტუმრო თბილისში?

„ბიზნესპრესნიუსი“ აგრძელებს სტატიათა სერიას, თუ რა ჯდება მსოფლიოს 10 სხვადასხვა ქალაქში ერთი ბრენდის ქვეშ მოქმედ სასტუმროში დასვენება. ამჯერად ავიღეთ სასტუმრო Holiday Innდა გავარკვიეთ, თუ რა ჯდება 2 ადამიანის დასვენება.

ფასები მოცემულია Booking.com-ის მიხედვით 2 ივლისიდან 8 ივლისის პერიოდში. ფასში შესულია საუზმის ღირებულება.

ნიუ იორკი – ქალაქი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნიუ იორკი საერთაშორისო ფინანსების, პოლიტიკის, გართობისა და კულტურის ცენტრია. ამ ქალაქში Holiday Inn-ის, ბრენდის სასტუმროში 2 ადამიანის დასვენება 4,054 ლარი დაჯდება. როგორც აღმოჩნდა, მსოფლიოს 10 სხვადასხვა ქალაქში ამ სასტუმროში დასვენება ყველაზე ძვირი სწორედ ნიუ იორკშია.

ლონდონი – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი მდინარე ტემზაზე მდებარეობს. ლონდონი ბრიტანეთის მთავარი ფინანსური ცენტრია. ფასის მიხედვით მეორე ადგილზე ლონდონის Holiday Inn, სადაც დასვენება 3,995 ლარი დაგიჯდებათ.

პარიზი – საფრანგეთის დედაქალაქი და ქვეყნის უდიდესი ქალაქია. პარიზი ევროპის წამყვანი კულტურული, ეკონომიკური, ბიზნეს და პოლიტიკური ცენტრია. ამ ქალაქში Holiday Inn-ის ბრენდის სასტუმროში 2 ადამიანის დასვენება 3,337 ლარი ჯდება.

პრაღა – ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქი და მისი უდიდესი ურბანული ცენტრია. პრაღა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზეს ქალაქადაა მიჩნეული. პრაღის Holiday Inn-ის ბრენდის სასტუმროში 2 ადამიანის დასვენება 2,699 ლარი დაჯდება.

თბილისი – საქართველოს დედაქალაქი თბილისი კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი ინდუსტრიული, სოციალური და კულტურული ცენტრია. თბილისის Holiday Inn-ში ივლისში 6 დღის გატარება 2 ადამიანს 2,662 ლარი დაუჯდება.

ბერლინი– გერმანიის დედაქალაქი და ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქია. ის ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრია. ბერლინში Holiday Inn-ის ბრენდის სასტუმროში 2 ადამიანის დასვენება 2,337 ლარი ჯდება.

სიდნეი – ავსტალიის ყველაზე დიდი ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. სიდნეიში Holiday Inn-ის ბრენდის სასტუმროში 2 ადამიანის დასვენება 2,264 ლარი დაჯდება.

დელი– ინდოეთის დედაქალაქი დელი კოსმოპოლიტი ქალაქი გახდა. სწრაფმა განვითარებამ და ურბანიზაციამ ქალაქი მნიშვნელოვნად გარდაქმნა. დელიში Holiday Inn-ის ბრენდის სასტუმროში 2 ადამიანის დასვენება 1,955 ლარი დაჯდება.

სტამბოლი – თურქეთის უდიდესი და ხალხმრავალი ქალაქია. ქალაქის კომერციული ცენტრი ევროპულ ნაწილშია, ხოლო ქალაქის მოსახლეობის მესამედი აზიურ ნაწილში ცხოვრობს. სტამბოლში Holiday Inn-ის ბრენდის სასტუმროში 2 ადამიანს 6 დღით დასვენება 1,748 ლარი დაუჯდება.

ბუდაპეშტი– უნგრეთის დედაქალაქი და ქვეყნის მთავარი პოლიტიკური, ინდუსტრიული, კომერციული და სატრანსპორტო ცენტრია. ბუდაპეშტში Holiday Inn-ის ბრენდის სასტუმროში 6-დღიანი დასვენებისას 2 ადამიანს 1,643 ლარის გადახდა მოუწევს. როგორც აღმოჩნდა ამ ათი ქალაქიდან ყველაზე იაფი დასვენება ბუდაპეშტში ჯდება.

ნიუ იორკი – 4,054 ლარი;
ლონდონი – 3,995 ლარი;
პარიზი – 3,337 ლარი;
პრაღა – 2,699 ლარი;
თბილისი – 2,662 ლარი;
ბერლინი – 2,337 ლარი;
სიდნეი – 2,264 ლარი;
დელი – 1,955 ლარი;
სტამბოლი – 1,748 ლარი;
ბუდაპეშტი – 1,643 ლარი.

რა შემთხვევაში ვიღარ აიღებენ სესხს ხელოსნები, ტაქსის მძღოლები, რეპეტიტორები და ძიძები

2018 წლის 7 მაისიდან კომერციულ ბანკებს სესხის გაცემა მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე შეეზღუდებათ.

ეროვნული ბანკის სამუშაო დოკუმენტის თანახმად, ფიზიკურ პირებთან მიმართებით გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზის პრინციპები უკვე გაწერილია. გარდა ამისა, თუ რა ოდენობის სესხის მიღებას შეძლებენ თვითდასაქმებულები, პირები, რომელთა შემოსავლებიც მესამე დამოუკიდებელი მხარეებისაგან მიღებული დოკუმენტებით არ დასტურდება.

დოკუმენტში განსაზღვრულია, თუ რა პირობების დაკმაყოფილება მოუწევთ თვითდასაქმებულებს, კერძოდ, ტაქსის მძღოლებს, ძიძებს, რეპეტიტორებსა და ხელოსნებს იმისათვის, რომ ბანკმა სესხი მისცეთ.

კერძოდ, სამუშაო დოკუმენტის თანახმად, ტაქსის მძღოლების შემთხვევაში მძღოლი და მანქანა რეგისტრირებული/ლიცენზირებული უნდა იყვნენ;

ამასთან, ავტომობილი მძღოლის სახელზე მინიმუმ ბოლო 6 თვის განმავლობაში უნდა იყოს რეგისტრირებული; სესხის გაცემისას გათვალისწინებული უნდა იყოს მანქანის ასაკი და ფიზიკური მდგომარეობა – რამდენად შეესაბამება მანქანის მდგომარეობა სარეგისტრაციო, სალიცენზიო მოთხოვნებს, როგორც მიმდინარე ეტაპზე ასევე სესხის ვადის განმავლობაში; მძღოლი სხვადასხვა მარშრუტებზე ტარიფების კუთხით უნდა იქნეს გადამოწმებული – ტარიფები არსებულ საშუალო მაჩვენებლებს უნდა შედარდეს. გარდა ამისა, გამოკითხულ უნდა იქნას მსესხებლის ოჯახური მდგომარეობა და სხვა რელევანტური საკითხები.

რეპეტიტორი – კერძო პრაქტიკით დაკავებული მასწავლებლები – აღნიშნული საქმიანობით დაკავებულ პირებზე სესხის გასაცემად საჭირო იქნება რეპეტიტორის ადგილზე ინსპექტირება – რა დროსაც ყურადღება სამუშაო გარემოზე, კერძოდ, იმაზე უნდა გამახვილდეს, რამდენად შეესაბამება იგი რეალობას. გარდა ამისა, დეტალურად უნდა გაანალიზდეს რეპეტიტორის ის ჩანაწერები, სადაც მოსწავლეების/ სტუდენტების სია, მათი მოძრაობის განრიგი, ტარიფები და სხვა რელევანტური მახასიათებლებია მოცემული. ტარიფები შესაბამისი დისციპლინის სწავლების საშუალო მაჩვენებლებს უნდა შედარდეს. ამასთან, რამდენიმე მოსწავლის/სტუდენტის მშობელთან უნდა გადამოწმდეს. ამასთან, საქმეს რეპეტიტორის ჩანაწერები, ობიექტის, მანქანისა და ტექპასპორტის სურათები უნდა დაერთოს.

ძიძა – ამ შემთხვევაშიც სესხის გასაცემად საჭირო იქნება, რომ ძიძის სამუშაო ადგილზე ინსპექტირება განხორციელდეს, გარდა ამისა, აუცილებელი იქნება ძიძის დამსაქმებლის გამოკითხვა, მათ შორის ანაზღაურების თაობაზე.

პროფილაქტიკის ხელოსნები – სესხის მიღებას შეძლებენ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო ადგილზე მათი ინსპექტირება განხორციელდება და ყურადღება გამახვილდება, სამუშაო გარემოზე, კერძოდ მის რეალობასთან შესაბამისობაზე. ამასთან, ერთ-ერთი მოთხოვნა იქნება ხელოსანი სხვადასხვა სერვისზე ტარიფების კუთხით გადამოწმება და ტარიფების არსებულ საშუალო მაჩვენებლებთან შედარება. გარდა ამისა, სესხის გაცემის გადაწყვეტილების მიღებამდე – უნდა გამოიკითხოს ობიექტის მეპატრონე/დირექტორი მათ შორის ხელოსნის ანაზღაურების თაობაზე. საქმეს უნდა დაერთოს ხელოსნის ჩანაწერები (არსებობის შემთხვევაში) და ობიექტის სურათები.

რაც შეეხება დალაქს/სალონის ხელოსანს, ამ საქმიანობით დაკავებულ პირებზე სესხის გაცემამდე საჭირო იქნება, მათი სამუშაო ადგილზე ინსპექტირება, რა დროსაც სამუშაო გარემოს რეალობასთან შესაბამისობაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება; გარდა ამისა, დალაქი უნდა გადამოწმდეს სხვადასხვა სერვისზე ტარიფების კუთხით და ტარიფები არსებულ საშუალო მაჩვენებლებს უნდა შედარდეს; ამასთან, უნდა გამოიკითხოს ობიექტის მეპატრონე/დირექტორი (მათ შორის დალაქის ანაზღაურების თაობაზე). ასევე მოთხოვნებს შორისაა, რომ საქმეს დალაქის ჩანაწერები (არსებობის შემთხვევაში) და ობიექტის სურათები დაერთოს.

ხოლო იმ პირების შემთხვევაში, რომლებზეც სესხი გზავნილების მიხედვით გაიცემა, სებ-ის სამუშაო დოკუმენტის თანახმად, გზავნილები შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხებისთვის. ამ შემთხვევაშიც საჭირო იქნება, რომ გზავნილები ბოლო 6 თვის განმავლობაში სტაბილურად ირიცხებოდეს. ამასთან, მოთხოვნების თანახმად, გზავნილები უნდა ირიცხებოდეს/იგზავნებოდეს მსესხებლის სახელზე; გზავნილის გამომგზავნი და მიმღები ოჯახის წევრები უნდა იყვნენ და მათ შორის არსებული კავშირი უნდა გადამოწმდეს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თითოეულ შემთხვევაში სამუშაო დოკუმენტის თანახმად, ერთ-ერთი მოთხოვნაა, სესხის მომსახურების PTI კოეფიციენტი (სესხზე გადასახადისა და შემოსავლის ფარდობა) სებ-ის მიერ დადგენილ ნორმებს შეესაბამებოდეს.

ჯონდი ბაღათურია: „დღეს ექსპერტიზის ბიუროში 7 მოზარდის გვამი ესვენა“

ახალი თაობის ნარკოტიკი – აბაზანის მარილი, იგივე მეფედრონი – მთელ თბილისს მოედო

პოლიტიკოსი ჯონდი ბაღათურია სოციალურ ქსელში წერს, რომ ე.წ. კლუბური ნარკოტიკით ბოლო 4 დღის განმავლობაში 12 მოზარდი გარდაიცვალა.

„გთხოვთ, გაავრცელოთ და ხალხს შეატყობინოთ! მხოლოდ ბოლო 4 დღის განმავლობაში თბილისში უკვე 12 მოზარდი გარდაიცვალა „კლუბური ნარკოტიკით!“.

მარტო დღეს 7 მოზარდის გვამი ესვენა ექსპერტიზის ბიუროში! ეს ტრაგედია ყველა ოჯახს შეიძლება დაატყდეს, თუ დაუყოვნებლივ არ შევაჩერებთ! პოლიცია უუფლებო და პარალიზებულია, ტელევიზიებიც არ აშუქებენ!

რადგან ეს კლუბები უმაღლესი თანამდებობის პირებს ეკუთვნის, ისინი „კრიშავენ“ და ისინი მდიდრდებიან ნარკოტიკების გაყიდვით.

ნუ დავტოვებთ ამ ბავშვების მშობლებს მარტო ამ დიდ ბოროტებასთან.

კანონის ძალით შური ვიძიოთ „სიკვდილით მოვაჭრეებზე“.

ყველას არ შეუძლია იარაღის ხელში აღება და ბრძოლა თანამდებობაზე მოკალათებულ ნარკომოვაჭრეებთან, ამ „გალსტუკიან წამლის ბარიგებთან“, – წერს ჯონდი ბაღათურია.

შაბათს რუსთავი 2-მა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ახალი თაობის ნარკოტიკი – აბაზანის მარილი, იგივე მეფედრონი – მთელ თბილისს მოედო.

ტელეკომპანიის ცნობით, თბილისის ერთ-ერთი ღამის კლუბიდან ღუდუშაურის კლინიკაში 22 წლის ახალგაზრდა პარასკევს ღამით გადაიყვანეს. ის მიმღებში გარდაიცვალა.

ვარაუდობენ, რომ გარდაცვლილმა ახალი თაობის ნარკოტიკი – აბაზანის მარილი, იგივე მეფედრონი, მიიღო, რაც მისი სიკვდილის მიზეზი გახდა.

ახალი თაობის ნარკოტიკი, რომელიც, სავარაუდოდ, ერთი ადამიანის სიკვდილის და რამდენიმეს მამაკაცის მოწამვლის მიზეზი გახდა, ქართული ბაზრისთვის ახალია.

კურიერის ინფორმაციით, იგივე პრეპარატის მოხმარების გამო, გასულ კვირას ღამის კლუბიდან გადაუდებელი მედიცინის ცენტრში 2 ადამიანი მოხვდა. ახალგაზრდები 3 დღის განმავლობაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდნენ.

მეფედრონი ძლიერი ფსიქოსტიმულატორია. ის იწვევს ჰალუცინაციებს, ფსიქიკის დარღვევას, მძიმე ფსიქოზსა და სიკვდილს.

აბაზანის მარილს ნარკორეალიზატორები სხვა ცნობილი კლუბური ნარკოტიკის სახელით ყიდიან, ზედოზირება კი უეცარი სიკვდილის მიზეზი ხდება.

ქვეყნის ბაზარზე ახალი ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანას რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას უკავშირებს თეთრი ხმაურის მოძრაობის წევრი დავით სუბელიანი.

ნარკოლოგების ინფორმაციით, მეფედრონი დამოკიდებულებას იწვევს და კლინიკებში მიმართვიანობაც ყოველდღიურად იზრდება. პაციენტების უმეტესობა არასრულწლოვანია.

შსს-ში არ აქვთ პასუხი, როგორ შემოვიდა საქართველოში ახალი ნარკოტიკული პრეპარატები. უწყებაში ახლა ექსპერტიზის პასუხს ელოდებიან, გახდა თუ არა მეფედრონი 22 წლის მამაკაცის სიკვდილი გამომწვევი მიზეზი.

პოლიციელების შეურაცხყოფისთვის ჯიქიას ქუჩაზე ერთი პირი დააკავეს

თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე, საპატრულო პოლიციამ დაუმორჩილებლობისა და სამართალდამცველების შეურაცხყოფისთვის ერთი პირი დააკავა.

თვითმხილველების თქმით, მამაკაცმა, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, დააზიანა საპატრულო პოლიციის მანქანა და პოლიციელებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

– იდგა პატრული, მოვიდა ეს მოქალაქე ფეხით, დაუწყო მანქანას წიხლების რტყმა, დედის გინება, აქ რას დგახართო, რას აკეთებთო. სთხოვეს ერთხელ, თავი გაგვანებეო, სთხოვეს მეორედ, სთხოვეს მესამედ, – ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი.

დაკავებისას მამაკაცი შეუძლოდ გახდა.

ვანში ბმვ-მ 50 წლის ქალი მოკლა

მძღოლი გაიქცა, მაგრამ შსს-მ დააკავა

ვანში, სოფელ ზეინდარში, ბმვ-ს მარკის მსუბუქი ავტომობილი ჯერ ელექტროგანათების ბოძს, ხოლო შემდეგ ორ ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა.

50 წლამდე ქალი ადგილზე დაიღუპა, ხოლო მეორე დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მძღოლი, რომელიც, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მოგვიანებით შსს-მ მძღოლი დააკავა.

როგორც პირველ არხს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 1-ლი (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) და მე-6 ნაწილებით (იგივე ქმედება, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში).

ერთი თვის განმავლობაში შსს-მ 150-მდე ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აქტიურად განაგრძობს პრევენციულ ღონისძიებებს.

სამართალდამცველებმა ბოლო 1 თვის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების 324 ფაქტზე გამოძიება დაიწყეს. 72 პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამავე პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ამოიღეს:

ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 12, კარაბინები, შაშხანები და სანადირო თოფები – 73, ცეცხლსასროლი პისტოლეტები და რევოლვერები – 34, თვითნაკეთი, კუსტარული და გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღი – 11, აირის, ხმოვანი და პნევმატური იარაღი – 18, ასევე, დიდი ოდენობით სხვადასხვა სახეობისა და კალიბრის საბრძოლო ვაზნა. აღსანიშნავია, რომ 1 იანვრიდან დღემდე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ან ტარების 659 ფაქტზე დაიწყო გამოძიება.

155 პირის მიმართ დაწყებულია სამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ აქტიურად განაგრძობს უკანონო იარაღისა და საბრძოლო მასალის ამოღებას, რაც უწყების მიერ მძიმე დანაშაულების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

დაჭრილი თაკო გამრეკელაშვილის გადარჩენას მისი შვილები ცდილობდნენ

კურიერმა ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის მასალები მოიპოვა.

დოკუმენტებით დგინდება, რომ 25 წლის თამარ გამრეკელაშვილი მამინაცვალმა შვილების თვალწინ მოკლა. დედის გადარჩენას, რომელიც სისხლისგან იცლებოდა, 3 და 6 წლის ბავშვები ცდილობდნენ.

დის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ამბავი თათია გამრეკელაშვილს პირველად 5 წლის დისშვილმა უამბო. მცირეწლოვანი ბავშვი 4 წლის ძმასთან ერთად დეტალურად ყვებოდა, როგორ გამოსჭრეს ყელი დედას და როგორ დატოვა დამნაშავემ შემთხვევის ადგილი.

გარდაცვლილის დის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან, რომელიც კურიერმა მოიპოვა, ირკვევა, რომ მკვლელის გაქცევის შემდეგ ბავშვები დედის გადარჩენას ცდილობდნენ. მათ ტანსაცმელი სისხლით ჰქონდათ დასვრილი.

მოკლულის დედა, ნათელა გობაძე, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ვარაუდობს, რომ მის ყოფილ ქმარს მკვლელობა წინასწარ განზრახული ჰქონდა, რადგან წინა დღეს შეამჩნია, რომ ბარნოვზე ნაქირავები სახლის საკეტი დაზიანებული იყო. პარალელურად, ვეფხია ბაქრაძემ ქალს მისწერა, რომ 2 დღით კახეთში მიდიოდა და ქალაქში არ იქნებოდა.

გარდაცვლილის დედა ირწმუნება, რომ ყოფილ ქმართან კონფლიქტი განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გამწვავდა, როდესაც ციხიდან გამოსული ვეფხვია ბაქრაძე მას თანაცხოვრებას აიძულებდა. შემდეგ კი ქალი კუმისში ნაქირავებ ბინაში მოტყუებით აიყვანა, სცემა და ჯაჭვით დააბა. რამდენიმე კვირის განმავლობაში სახლიდან გასვლის საშუალებას არ აძლევდა. ნათელა გობაძის მტკიცებით, რამდენიმეკვირიან ტყვეობას ქალმა თავი მხოლოდ მას შემდეგ დააღწია, რაც ბაქრაძეს შერიგებასა და დაქორწინებას დაჰპირდა.

ნათელა გობაძის მტკიცებით, ყოფილი ქმარი მასთან საცხოვრებლად გადასვლას აიძულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილების მოკვლით ემუქრებოდა.

ნათელა გობაძე აცხადებს, რომ თაკო გამრეკელაშვილის მიმართ ვეფხვია ბაქრაძეს ყოველთვის განსაკუთრებული აგრესია ჰქონდა. პირველად მათ შორის დაპირისპირება 2013 წელს მოხდა, როდესაც ყოფილმა მამინაცვალმა გოგოს სამკაულები მოჰპარა. საქმეს პოლიციაც იძიებდა.

დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ბრალდებით ვეფხვია ბაქრაძე ახლა წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, თუმცა 63 წლის კაცს მიაჩნია, რომ მუხლის კვალიფიკაცია არასწორია.

თაკო გამრეკელაშვილის შვილებს კი სამართალდამცველები ამ დრომდე მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო ვერ კითხავენ.

დანიაში 56 წლის გელა პაპაშვილი გარდაცვლილი იპოვეს

მისი შვილი 5 თვის წინ საფრანგეთის პორტში მოკლეს

დანიაში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს. 56 წლის გელა პაპაშვილი, წინასწარი ინფორმაციით, გულის შეტევას ემსხვერპლა.

იგი ერთ-ერთ პოლონურ ფირმასთან თანამშრომლობდა და სატვირთო ავტომანქანაზე მძღოლად მუშაობდა.

პაპაშვილი 26 აპრილს მისმა ნათესავმა იპოვა და სამართალდამცავებს შეატყობინა.

ოჯახი უკვე დაუკავშირდა საკონსულოს, თუმცა პროცედურის გავლა უქმე დღეების გამო ფერხდება.

გარდაცვლილი მამაკაცი კობა პაპაშვილის მამაა, რომელიც 5 თვის წინ ქალაქ ბულონ სულ მერიში, პორტის ტერიტორიაზე, მოკლული ნახეს.

პაპაშვილების ოჯახი ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირიდან არის.

იტალიაში საქართველოს 3 მოქალაქე ქურდობისთვის დააკავეს

იტალიის ქალაქ მანტოვაში საქართველოს სამი მოქალაქე ქურდობისთვის დააკავეს.

ადგილობრივი დროით საღამოს 8 საათზე პოლიციამ შეტყობინება მიიღო იმის თაობაზე, რომ რამდენიმე უცხოელი, სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში, გამვლელებს ავიწროებდა.

ერთ-ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე, მათ 37 წლის საქართველოს მოქალაქე, ვინმე ნ.ა. დააკავეს, თუმცა პოლიციაში გადაყვანის შემდეგ გაუშვეს.

მოგვიანებით პოლიციაში კიდევ ერთი მოწმე გამოჩნდა, განას მოქალაქე, რომელმაც განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ის გაქურდეს. მისი თქმით, იგი ხუთმა პირმა უმიზეზოდ ცემა და ტელეფონი წაართვა.

პოლიცია შემთხვევის ადგილზე გავიდა და ოპერატიული ღონისძიების შედეგად სამი პირი დააკავა, მათ შორის, აქამდე დაკავებული და გაშვებული ნ.ა.

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

2018, 30 აპრილი, №100

პაშინიანი სომხეთის პრემიერობის რეალური პრეტენდენტია — ჩაერევა თუ არა რუსეთი?

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სომხეთის პრემიერის მოვალეობის შემსრულებელ კარაპეტიანს დაუკავშირდა. სატელეფონო საუბარი ორ საათს გაგრძელდა. პუტინმა დააფიქსირა თავისი უარყოფითი პოზიცია სომხეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესაძლო ჩატარების საკითხზე.

– კრიზისი სომხეთში უნდა აღმოიფხვრას დიალოგის გზით და ამჟამინდელი ლეგიტიმურად არჩეული პარლამენტის ბაზაზე, – ასეთია პუტინის ნება.

ამის შემდეგ სომხეთის პრეზიდენტი სარქისიანი აწ უკვე ექსპრემიერ სერჟ სარგსიანს შეხვდა. მისი დასრულების შემდეგ სარქისიანმა ტელევიზიით განაცხადა, რომ მმართველი პარტია, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, პრემიერის პოსტზე თავის კანდიდატურას არ წამოაყენებს.

შესაბამისად, რჩება პრემიერობის ერთადერთი რეალური პრეტენდენტი – ოპოზიციის ამჟამინდელი ლიდერი ნიკოლ პაშინიანი.

რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტ ინესა მხითარიანის აზრით, კრემლს არ შეიძლება მოსწონდეს ნიკოლ პაშინიანის პერსონა. მიუხედავად ამისა, მოსკოვი მოვლენებში მხოლოდ მას შემდეგ ჩაერევა, როცა სომხეთის ოპოზიცია „წითელ ხაზს“ გადაკვეთს, ანუ როცა რეალურად დადგება ევრაზიული კავშირიდან სომხეთის გასვლის საკითხი ან სომხეთში მყოფ რუსულ ბაზებს საფრთხე შეექმნება.

– მანამდე რუსეთი პროცესებში არ ჩაერევა, – ამბობს მხითარიანი.

გუშინ საღამოს ნიკოლ პაშინიანი რუს დეპუტატებს შეხვდა.

– ვფიქრობ, ჩვენი კოლეგები რუსეთის სახელმწიფო დუმიდან დარწმუნდნენ იმაში, რომ შიდაპოლიტიკურ პროცესებში არ იყო და არ შეიძლება ყოფილიყო რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულება. შეხვედრა კონსტრუქციულ გარემოში ჩატარდა, ვისაუბრეთ კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციასა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირზე, – აღნიშნა პაშინიანმა.

მისივე თქმით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ის არ წამოაყენებს ამ ორგანიზაციებიდან სომხეთის გამოსვლის საკითხს.

– მე არ ვამბობ, რომ სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებში ადგილი არ აქვს პრობლემებს, თუმცა ყველა საკითხის გადაჭრა შეიძლება, – დასძინა მან.

რუსეთი, ირანი და თურქეთი სირიის მომავალზე მსჯელობენ

მოსკოვში რუსეთის, თურქეთისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს შეხვდნენ. საუბარი სირიის მომავალს შეეხო.

მხარეებმა დააფიქსირეს, რომ სირიის პრობლემა სამხედრო გზით ვერ გადაწყდება. დიალოგს ალტერნატივა არ აქვს.

– სირიის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ვუჭერთ, – განაცხადეს მინისტრებმა.

სერგეი ლავროვმა აშშ-ის მიერ სირიაზე განხორციელებული სარაკეტო დარტყმები დაგმო. მან ამას საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა უწოდა. მას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმაც დაუჭირა მხარი.

– რასაკვირველია, ქიმიური იარაღის გამოყენება დასაგმობია, მაგრამ ისმის კითხვა: ვინ გამოიყენა ეს იარაღი? ასადმა თუ ამერიკელებმა? – განაცხადა მან.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩავუშოღლუს გამოსვლა ბევრად თავშეკავებული იყო. მან მხარი დაუჭირა სირიაში მშვიდობის აღდგენასა და ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. ამავე დროს, ჩავუშოღლუმ დიპლომატიურად აუარა გვერდი აშშ-ის მიერ სირიის რაკეტებით დაბომბვას, რომელსაც ოფიციალურმა ანკარამ მხარი დაუჭირა.

პომპეომ ვიზიტები დაიწყო

ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა. მას აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეოც დაესწრო.

ამერიკელი სტუმარი შეკრებილთ მიესალმა. თავის სიტყვაში მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ს ერთადერთი რამ სურს: რუსეთი დემოკრატიული სამყაროს წევრი უნდა გახდეს.

– სამწუხაროდ, რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა პუტინმა სხვა გზა აირჩია. ის დემოკრატიულ სამყაროს უპირისპირდება, – თქვა პომპეომ.

შეკრებილებმა მიიღეს დოკუმენტი რუსეთის აგრესიის ერთობლივად აღკვეთის შესახებ. საუბარია არა მხოლოდ შეიარაღებულ აგრესიაზე, არამედ კიბერშეტევებსა და სპეცსამსახურების დონეზე წარმოებულ ოპერაციებზეც.

ბრიუსელის შემდეგ პომპეომ ახლო აღმოსავლეთში ტურნე დაიწყო.

პირველი ქვეყანა, რომელსაც პომპეო ესტუმრა, საუდის არაბეთია. საუდის არაბეთის შემდეგ პომპეო იორდანიასა და ისრაელს ეწვევა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მერკელი ტრამპს შეხვდა

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი დონალდ ტრამპს შეხვდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოლაპარაკებებმა საკმაოდ ცხარე ვითარებაში ჩაიარა. ტრამპმა გერმანიის კანცლერს უსაყვედურა, რომ თავდაცვაზე არასაკმარის თანხებს ხარჯავს.

– საერთაშორისო მდგომარეობა იძაბება! გერმანიამაც უფრო მეტი წვლილი უნდა შეიტანოს ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების განმტკიცებაში, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ამაზე კანცლერმა შენიშნა, რომ წავიდა ის დრო, როცა ევროპა

უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში უმთავრეს იმედებს აშშ-ზე ამყარებდა.

– ევროპელებს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს, – თქვა მან.

ნათქვამი მეტისმეტად ხმამაღალი გამოვიდა. არც გერმანიასა და არც ევროპას დღეს არ გააჩნიათ რესურსი, რათა ვაშინგტონის დახმარების გარეშე თანამედროვე გამოწვევებს გაუმკლავდნენ. მერკელმაც პრესკონფერენციაზე თავისი გამოთქმა შეარბილა.

– ნატოსთან და აშშ-თან ჩვენს პარტნიორობას ალტერნატივა არ გააჩნია, – განაცხადა მან.

ირანთან დაკავშირებით ტრამპმა და მერკელმა განსხვავებული პოზიციები დააფიქსირეს. გერმანიის კანცლერი მიიჩნევს, რომ აშშ ირანთან ბირთვული ხელშეკრულებიდან არ უნდა გავიდეს. ტრამპმა ამაზე ტაქტიანად მიანიშნა, რომ ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

– არ დავუშვებ, რომ ირანმა თავისი ბირთვული პროგრამა განახორციელოს! – თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა.

რუსეთთან დამოკიდებულებაში კი აშშ-მ და გერმანიამ შესაშური ერთსულოვნება გამოავლინეს. მერკელი მთლიანად დაეთანხმა ტრამპს იმაში, რომ სანამ რუსეთი სისხლიანი დიქტატორის, ასადის, მხარდაჭერას განაგრძობს, მხარს უჭერს ექსტრემისტულ ანტიდემოკრატიულ ძალებს ევროპაში, ხელყოფს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, მანამ სანქციები აუცილებელია. მეტიც, სანქციები უნდა გამკაცრდეს.

19 რუს ქალს ერაყში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

ერაყის სასამართლომ რუსეთის მოქალაქე 19 ქალს ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ ანალოგიური ბრალდების გამო ერაყის ციხეში რუსეთის მოქალაქე 50-დან 70-მდე ქალი იმყოფება. აქვე დაკავებულია ასამდე ბავშვიც, რომლებიც, სავარაუდოდ, მათი შვილები არიან.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში საამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

სუპერლიგის რეგულარულ სეზონში გასარკვევი ორი ადგილია

დინამო-ბათუმი 89:49

(20:14, 19:10, 31:12, 19:13)

დინამოელებმა ოლიმპიურ სასახლეში რეგულარულის ბოლო მატჩი გამართეს და უმოტივაციო ბათუმს იოლად – 89:49 მოუგეს.

მასპინძელთა მთავარი მიზანი მეორე პოზიციის დაკავებაა, ამიტომ დაპირისპირებას ინტრიგა მალევე დაუკარგეს. მასპინძლებმა ყველა მეოთხედი მოიგეს.

პირველი ათწუთეული 20:14 დამთავრდა, ტაიმის მიწურულს კი ანგარიში 39:24 იყო. დიდი შესვენების შემდეგ მატჩი უინტერესოდ წარიმართა. დინამო თავს ისე გრძნობდა, როგორც ვარჯიშზე. შესაბამისად, მათ მესამე მეოთხედი 31:12 მოიგეს. საბოლოოდ, უკანასკნელი ათწუთეულიც გამარჯვებამდე მიიყვანეს და მეტოქე ჯამში 50-ქულიანი უპირატესობით დაამარცხეს – 89:49.

მასპინძლებს 20 ქულით ილია ლონდარიძემ ულიდერა. 18 ჰქონდა ნოდარ გოგოძეს. სტუმართა მხრიდან კი 14 ქულა სპენსერ კოლინსმა მიითვალა.

რუსთავი-მგზავრები 117:97

(32:24, 37:23, 22:20, 26:30)

როცა გუნდი ერთ მატჩში 25 სამქულიანს აგდებს, იმ თამაშს არ აგებს. ასეთი რამ არსად მომხდარა და, შესაბამისად, არც რუსთავს გასჭირვებია მგზავრების დამარცხება. სწორედ 25 სამქულიანი ჩააგდეს რუსთაველებმა და მეტოქე 117:97 დაამარცხეს.

აქამდე მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგი მატჩში 20 სამქულიანი იყო, რომელიც კაკტუსსა და რუსთავს ჩაეგდო. ქვემოქართლელებმა საკუთარი რეკორდი ერთბაშად 5 ერთეულით გააუმჯობესეს.

შესაბამისად, მატჩიც არ ყოფილა დაძაბული. რუსთაველებმა პირველი პერიოდი 32:24 მოიგეს, ხოლო მეორეში 37:23 იმარჯვეს და მატჩის ბედიც დიდ შესვენებამდე გადაწყვიტეს – 69:47. მეორე ნახევარში ვითარება არ შეცვლილა. მგზავრებმა მასპინძელთა შორ სროლებს ვერაფერი დაუპირისპირეს და 20 ქულის სხვაობით – 97:117 დამარცხდნენ.

რუსთაველებს 29 ქულით რეზო ჩაჩანიძემ ულიდერა. 16 ქულა ადამ ბლეიზეკმა მოაგროვა, ხოლო 13 ქულა ლევან ცეკვავას ანგარიშზე დაგროვდა.

სოხუმი-კაკტუსი 82:99

(21:21, 24:29, 18:24, 19:25)

სუპერლიგის წლევანდელი სეზონი სოხუმისთვის დასრულებულია. გია კაზანჯიანისა და მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა გუნდმა სუპერლიგის ბოლო ტურის მატჩი კაკტუსთან გამართა და ამით რეგულარული ჩემპიონატი დაამთავრა. სოხუმელებმა 32 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგეს და ბოლო ადგილი დაიკავეს.

თუმცა, სოხუმს სუპერლიგაში დარჩენის შანსი კვლავ რჩება. კალათბურთის ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, მომავალი სეზონიდან სუპერლიგაში გუნდების რაოდენობა იზრდება და სოხუმელებს ა ლიგის ფინალში დამარცხებულ ტიტებთან საკვალიფიკაციო მატჩების გამართვა ელის. სერია 2 მოგებამდე გაგრძელდება და გამარჯვებული 2018-19 წლების სეზონის სუპერლიგაში მე-10 ადგილს მოიპოვებს.

რაც შეეხება მატჩს, სოხუმი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დინამომ პირველ ადგილზე გადაინაცვლა

დინამო-კოლხეთი 4:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 ზივზივაძე (13), 2:0, 3:0 კიტეიშვილი (39პ, 47), 3:1 გოგონაია (81), 4:1 ხარაბაძე (85)

54-ე წუთზე ზივზივაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ხარაბაძე, ნინუა (დარცმელია 87), ივანისენია (ქოჩლაძე 75), კიტეიშვილი, შულაია, ივანიშვილი, ზივზივაძე (ბაბუნაძე 82)

კოლხეთი: პოლტავცევი, გოგონაია, პონომარიოვი, დანილოვი, მიხალიოვი, ჯიმშელეიშვილი, კაბორე (კაკულია 46), ჭეიშვილი, გოგბერაშვილი (კვერნაძე 85), ტყემალაძე, კვასოვი (იმნაძე 53)

დინამომ სათამაშო უპირატესობა პირველივე წუთებიდან მოიპოვა და სტუმართა კარის მიმართულებით არაერთი შეტევა განახორციელა. მე-13 წუთზე მასპინძლებმა ანგარიშიც გახსნეს: ოთარ კიტეიშვილმა ითამაშა კარგად, გასცდა მეტოქეს, ძლიერადაც დაარტყა, მართალია, მეკარემ აუღო, მაგრამ დამატებაზე კი პირველი ბუდუ ზივზივაძე გაჩნდა – 1:0.

მომდევნო შეტევაში აკაკი შულაიას შეეძლო ანგარიშს გაზრდა, მაგრამ ბურთი მეკარეს გაარტყა. მატჩის 35-ე წუთზე ლევან ხარაბაძის ჩაწოდებულის შემდეგ ზივზივაძეს მცირედი დააკლდა გოლის გასატანად. მალე ისევ კიტეიშვილმა ითამაშა კარგად, რამდენიმე მცველს გვერდი აუარა და საბოლოოდ საჯარიმოში წააქციეს. პენალტი კაპიტანმა ზუსტად შეასრულა – 2:0.

მეორე ტაიმის დებიუტში კიტეიშვილმა კიდევ ერთხელ იყოჩაღა, დასწრებაზე ზუსტად ითამაშა და მესამე გოლი გაიტანა ანდრეი პოლტავცევის კარში.

მალვე ფოთელთა კარში კიდევ ერთი პენალტი დაინიშნა, რომელიც კიტეიშვილის ნაცვლად ზივზივაძემ დაარტყა და მეკარეს ვერ აჯობა.

საერთოდ მთელი მატჩი დინამოელთა კოლოსალური უპირატესობით წარიმართა, თუმცა წუთიერი მოდუნება დედაქალაქელებს გაშვებულ გოლად დაუჯდათ. 81-ე წუთზე ლაშა გოგონაიამ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავით გაიტანა.

რამდენიმე წუთში სტანდარტულიდან უკვე ლევან ხარაბაძემ იყოჩაღა – 4:1. ბოლო წუთებში დინამოელებმა კიდევ რამდენჯერმე შეუტიეს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ჩიხურა-საბურთალო 2:1

ივანწმინდა. ცენტრალური

0:1 რეხვიაშვილი (60), 1:1 ლექვთაძე (77), 2:1 კახაბრიშვილი (90)

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, ლექვთაძე (კახაბრიშვილი 88), კაკუბავა, მეგრელიშვილის, დობროვოლსკი (ჩიხლაძე 65), ბუხაიძე (ბუღრიძე 65), გაბედავა

საბურთალო: კუპატაძე, მარგველაშვილი, იაშვილი, რეხვიაშვილი, გორგიაშვილი, მამუჩაშვილი, კოხრეიძე (გოშთელიანი 70), ლაკვეხელიანი, ტატანაშვილი (გონსალვესი 60), ტერა, დიასამიძე (ნადარაია 80)

ჩემპიონატის ლიდერი, საბურთალო, საჩხერეში ჩიხურას ესტუმრა და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში გიორგი რეხვიაშვილის გოლით დაწინაურდა, საბოლოოდ 2:1 დამარცხდა, რაც პირველი ადგილის დაკარგვად დაუჯდა.

მატჩის დასაწყისშივე თორნიკე გორგიაშვილს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. საერთოდ, პირველ ტაიმში სტუმრები ფლობდნენ უპირატესობას, მასპინძლები იშვიათად უახლოვდებოდნენ საბურთალოელთა კარს. ტაიმის შუაში გიორგი კოხრეიძე გავიდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდებას ცდილობდა, მაგრამ ჩიხურას მეკარე ჩანაფიქრს მიუხვდა და თავისიანები გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

მეორე ტაიმის მე-60 წუთზე ანგარიში გაიხსნა – ლუკა ლაკვეხელიანის სტანდარტულიდან ჩაწოდების შემდეგ გიორგი რეხვიაშვილმა თავით ზუსტი დარტყმა განახორციელა და გახსნა ანგარიში.

მასპინძლებმა თამაშში წონასწორობა 77-ე წუთზე აღადგინეს – ირაკლი ლექვთაძემ დაცვას ჩავარდნა არ აპატია და გამთანაბრებელი გოლი გაიტანა. 90-ე წუთზე კი საჩხერელებმა სულაც 3 ქულა დაიტოვეს – ცვლილებაზე შესული კახა კახაბრიშვილი საბურთალოს მცველებს გასცდა, მეკარესთან პირისპირ გასულს კი გოლის გატანა არ გასჭირვებია – 2:1.

ტორპედო-სიონი 3:0

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 გურეშიძე (16სკ), 2:0 კუტალია (50), 3:0 წიქარიძე (52)

ტორპედო: კვასხვაძე, გრიგალაშვილი (ტაბატაძე 46), ხურცილავა, გურული, ქიმაძე, წიქარიძე (ჭიჭინაძე 72), კუხიანიძე, კუტალია, მამასახლისი, დოლიძე, ლიპარტია (კუჭუხიძე 68)

სიონი: ზარქუა, გურეშიძე, ნოზაძე, ქიქავა, სიხარულია, კოშკაძე (ხმალაძე 68), დვალი (ბერიაშვილი 68), მანაგაძე (ლეჟავა 57), მიქაბერიძე, გაფრინდაშვილი, გიორბელიძე

ქუთაისის ტორპედომ გარკვეული ჩავარდნის შემდეგ ხასიათი გამოიკეთა. რიონისპირელებმა ბოლნისის სიონს უმასპინძლეს და 3:0 დაამარცხეს.

პირველმა ტაიმმა მასპინძელთა უპირატესობით კი ჩაიარა, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი გავიდა – ანგარიში მე-16 წუთზე გაიხსნა, როცა საჯარიმოში თენგიზ წიქარიძე აწვდიდა, ბურთი კი თავური დარტყმის დროს ალექსანდრე გურეშიძეს აეჭრა და საკუთარ კარში გაიტანა.

მეორე ნახევარი კახა ჩხეტიანის შეგირდებმა აქტიურად დაიწყეს და მალევე 2 გოლიც გაიტანეს: 50-ე წუთზე საჯარიმოში ვაჟა ტაბატაძის ჩაწოდების შემდეგ ლევან კუტალიამ თავით გაუტანა ზარქუას, ხოლო 2 წუთში უკვე წიქარიძემ 3:0 გახადა ანგარიში.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო	8	6	0	2	18-8	18
2.საბურთალო	8	6	0	2	16-6	18
3.ჩიხურა	8	4	3	1	13-6	15
4.დილა	8	4	3	1	15-10	15
5.ტორპედო	8	4	0	4	11-8	12
6.რუსთავი	8	3	2	3	8-7	11
7.სიონი	8	2	1	5	7-14	7
8.კოლხეთი	8	2	1	5	8-20	7
9.სამტრედია	8	1	3	4	3-8	6
10.ლოკომოტივი	8	1	1	6	8-20	4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ივერიის თასსა და მედიატურნირს ბათუმი უმასპინძლებს

მაისში საქართველო სპორტული ნარდის ეპიცენტრი ხდება. 1-6 მაისს სასტუმრო „რესიდონ ბლუ ბათუმი“ მასპინძლობს 2 მასშტაბურ საერთაშორისო ტურნირს ნარდში: ივერიის თასის გათამაშებასა და მედიატურნირს. ივერიის თასის გათამაშების გენერალური სპონსორია სამორინე ივერია, ქართველი ჟურნალისტების მონაწილეობას კი უზრუნველყოფს ქართული მცენარეული ზეთების კომპანია „ქარვა“.

ივერიის თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 17 ქვეყნის 100-ზე მეტი ადამიანი, ხოლო მედიატურნირში – 10-მდე ქვეყნის 20-ზე მეტი წარმომადგენელი.

ტურნირებზე დაწესებულია როგორც საპრიზო ფონდი, ასევე წამახალისებელი ჯილდოები.

შედეგები

28 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-სტოკი 0:0
ბარნლი-ბრაიტონი 0:0
კრ.პალასი-ლესტერი 5:0
ჰადერსფილდი-ევერტონი 0:2
ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი 0:1
საუთჰემპტონი-ბორნმუთი 2:1
სუონსი-ჩელსი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	34	29	3	2	98-25	90
2.მანჩესტერი	34	23	5	6	65-26	74
3.ლივერპული	36	20	12	4	80-37	72
4.ტოტენჰემი	34	20	8	6	66-31	68
5.ჩელსი	35	20	6	9	60-34	66
6.არსენალი	34	17	6	11	66-46	57
7.ბარნლი	36	14	12	10	35-32	54
8.ევერტონი	36	13	9	14	42-54	48
9.ლესტერი	35	11	11	13	49-52	44
10.ნიუკასლი	35	11	8	16	35-44	41
11.კრ.პალასი	36	9	11	16	41-54	38
12.ბორნმუთი	36	9	11	16	42-60	38
13.უოტფორდი	35	10	8	17	42-60	38
14.ბრაიტონი	35	8	13	14	32-47	37
15.ვესტ ჰემი	34	8	11	15	42-63	35
16.ჰადერსფილდი	35	9	8	18	27-56	35
17.სუონსი	35	8	9	18	27-52	33
18.საუთჰემპტონი	35	6	14	15	35-54	32
19.სტოკი	36	6	12	18	32-65	30
20.ვესტ ბრომვიჩი	36	5	13	18	30-54	28

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-დერბი 1:1
ბარნსლი-ბრენტფორდი 2:0
ბარტონი-ბოლტონი 2:0
ჰალი-კარდიფი 0:2
ნორვიჩი-ლიდსი 2:1
ნოტინგემი-ბრისტოლი 0:0
ქპრ-ბირმინგემი 3:1
რედინგი-იფსვიჩი 0:4
შეფილდი-პრესტონი 0:1
ვულვზი-უენსდი 0:0
მიდლსბრო-მილუოლი 2:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-ლას პალმასი 1:1
სოსიედადი-ბილბაო 3:1
რეალი-ლეგანესი 2:1
ვილიარეალი-სელტა 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	33	25	8	0	83-19	83
2.ატლეტიკო	34	21	9	4	54-18	72
3.რეალი	34	21	8	5	82-37	71
4.ვალენსია	34	20	6	8	62-36	66
5.ბეტისი	34	17	5	12	54-53	56
6.ვილიარეალი	34	16	6	12	49-41	54
7.სევილია	34	14	6	14	42-54	48
8.ხეტაფე	34	13	9	12	39-31	48
9.ხირონა	34	13	8	13	46-52	47
10.სოსიედადი	35	13	7	15	63-55	46
11.სელტა	35	12	9	14	54-51	45
12.ეიბარი	34	12	7	15	37-47	43
13.ალავესი	34	13	2	19	34-47	41
14.ბილბაო	35	9	13	13	38-45	40
15.ესპანიოლი	35	9	13	13	29-41	40
16.ლეგანესი	35	11	7	17	29-43	40
17.ლევანტე	35	9	13	13	34-50	40
18.დეპორტივო	34	6	10	18	32-65	28
19.ლას პალმასი	35	5	7	23	23-70	22
20.მალაგა	34	5	5	24	22-51	20

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვალიადოლიდი-კადისი 1:1
ალმერია-ბარსელონა ბ 1:0
ოსასუნა-ლუგო 1:1
სევილია ბ-ალკორკონი 1:0
უესკა-გრანადა 2:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-აინტრახტი 4:1
ჰერტა-აუგსბურგი 2:2
ფრაიბურგი-კიოლნი 3:2
შალკე-გლადბახი 1:1
ვოლფსბურგი-ჰამბურგი 1:3
ლევერკუზენი-შტუტგარტი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	32	26	3	3	88-23	81
2.შალკე	32	16	9	7	50-36	57
3.დორტმუნდი	31	15	9	7	61-41	54
4.ჰოფენჰაიმი	32	14	10	8	63-45	52
5.ლევერკუზენი	32	14	9	9	55-42	51
6.ლაიპციგი	31	13	8	10	47-47	47
7.აინტრახტი	32	13	7	12	42-44	46
8.შტუტგარტი	32	13	6	13	30-35	45
9.გლადბახი	32	12	8	12	43-49	44
10.ჰერტა	32	10	13	9	40-37	43
11.აუგსბურგი	32	10	11	11	42-42	41
12.ვერდერი	31	9	10	12	34-38	37
13.ჰანოვერი	32	9	9	14	39-50	36
14.ფრაიბურგი	32	7	12	13	29-53	33
15.ვოლფსბურგი	32	5	15	12	31-43	30
16.მაინცი	31	7	9	15	32-49	30
17.ჰამბურგი	32	7	7	18	27-49	28
18.კიოლნი	32	5	7	20	33-63	22

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დარმშტადი-უნიონი 3:1
დინამო-ფორტუნა 1:2
ზ.პაული-ფიურტი 3:0

იტალია. სერია ა

რომა-კიევო 4:1
ინტერი-იუვენტუსი 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	35	28	4	3	81-22	88
2.ნაპოლი	34	26	6	2	71-23	84
3.რომა	35	21	7	7	59-28	70
4.ლაციო	34	20	7	7	83-43	67
5.ინტერი	35	18	12	5	58-26	66
6.ატალანტა	34	15	10	9	52-35	55
7.მილანი	34	15	9	10	44-38	54
8.სამპდორია	34	15	6	13	51-53	51
9.ფიორენტინა	34	14	9	11	47-38	51
10.ტორინო	34	11	14	9	48-41	47
11.ჯენოა	34	11	8	15	29-34	41
12.ბოლონია	34	11	6	17	37-44	39
13.სასუოლო	35	9	10	16	26-57	37
14.კროტონე	35	9	7	19	36-60	34
15.კალიარი	34	9	6	19	30-56	33
16.უდინეზე	34	10	3	21	43-56	33
17.კიევო	35	7	10	18	31-57	31
18.სპალი	34	5	14	15	30-55	29
19.ვერონა	34	7	4	23	27-68	25
20.ბენევენტო	34	5	2	27	29-78	17

იტალია. სერია ბ

ასკოლი-პერუჯა 2:2
კარპი-აველინო 0:0
პრო ვერჩელი-პარმა 1:0
სალერნიტანა-ბრეშა 4:2
სპეცია-კრემონეზე 1:0
ტერნანა-პესკარა 0:3
ჩეზენა-ფროზინონე 1:0
ჩიტადელა-ფოჯა 3:1
ემპოლი-ნოვარა 1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

ლიონი-ნანტი 2:0
ბორდო-დიჟონი 3:1
ლილი-მეცი 3:1
მონაკო-ამიენი 0:0
სტრასბური-ნიცა 1:1
ტრუა-კაენი 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	34	29	3	2	104-23	90
2.ლიონი	35	21	9	5	79-38	72
3.მონაკო	35	21	8	6	79-44	71
4.მარსელი	34	20	9	5	72-41	69
5.სტ.ეტიენი	35	14	10	11	41-46	52
6.ნიცა	35	14	9	12	46-46	51
7.რენი	34	13	9	12	43-41	48
8.მონპელიე	35	10	16	9	32-31	46
9.ბორდო	35	13	7	15	42-45	46
10.ნანტი	35	12	10	13	33-39	46
11.გენგამი	34	12	9	13	41-49	45
12.დიჟონი	35	11	9	15	49-69	42
13.ამიენი	35	11	8	16	32-38	41
14.ანჟე	34	8	13	13	38-46	37
15.კაენი	35	10	7	18	25-46	37
16.სტრასბური	35	8	11	16	40-62	35
17.ტულუზა	34	8	10	16	31-44	34
18.ტრუა	35	9	5	21	31-52	32
19.ლილი	35	8	8	19	36-59	32
20.მეცი	35	6	8	21	33-68	26

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

კლერმონი-ნიმი 1:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სეტუბალი-ფეირენშე 0:2
ბენფიკა-ტონდელა 2:3
პორტიმორენშე-სპორტინგი 1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-გრასჰოპერსი 0:1
იანგ ბოიზი-ლუცერნი 2:1

ხესეთი. პრემიერლიგა

არსენალი-ანჟი 2:1

მოტენდია. პრემიერლიგა

ჰამილტონი-როსი 2:0
მოზერველი-დანდი 2:1
სტ.ჯონსონი-პარტიკი 1:1
ჰიბერნიანი-კილმანროკი 5:3

ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-მატერსბურგი 2:3
ადმირა-ვოლფსბერგერი 4:2
ალტახი-ლინცერი 0:2

ბელგია. 1 დივიზიონი

მუსკრონი-ვარეგემი 1:2
ლეუვენი-ბევერენი 0:0
კორტრაიკი-ლიერსი 2:1
ეუპენი-ლოკერენი 0:2
სტ.ტრუიდენი-ოსტენდე 4:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-ალანია 1:2
სივასი-გენჩლერი 1:0
ანთალია-ტრაბზონი 1:2
ქაშიმფაშა-ფენერბახჩე 1:4

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-სპარტა 3:2
პლზენი-კარვინა 2:0

ბოლონეთი. ექსტრაკლასი

პლოცკი-ზაგლებიე 1:2
ლეხი-გურნიკი 2:4
პოგონი-სანდეცია 2:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ზვეზდა-ოლიმპიკი 2:0
კარპატი-ოლეკსანდრია 1:2
სტალი-ჩერნომორეცი 1:2

შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-ჰაკენი 2:1

ნორვეგია. ელიტსერია

რანჰეიმი-ვალერენგა 2:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ტპს-როვანიემი 0:0
ჰონკა-ინტერი 2:2

ქალმა მკერდი გაუტკივარების გარეშე გაიჭრა და იმპლანტატი ამოიღო

ქალმა ბრიტანეთის ქალაქ სკეგნესიდან საკუთარი მკერდიდან სილიკონის იმპლანტატი თავად, სხვის დაუხმარებლად მოიშორა.



იუთუბიზე ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ 49 წლის ტონია როსინგტონმა კანი ანტიბაქტერიული საშუალებით დაიმუშავა და მკერდზე ყინული მიიდო, შემდეგ სკალპელით შეიარაღდა, ორი ჭრილობა გაიკეთა და იმპლანტები ამოიღო, რომელთაგან ერთ-ერთი გასკდა. მისი თქმით, ტკივილი არ უგრძნია, ვინაიდან ნერვული დაბოლოებები მკერდის გადიდების ოპერაციის დროს იქნა დაზიანებული.

გადახვევის შემდეგ ქალმა მეუღლეს წერილი დაუტოვა და საავადმყოფოში წავიდა, სადაც სპეციალისტებმა ჭრილობები დაუმუშავეს და ხელმეორედ გადაუხვიეს. პლასტიკური ქირურგის აზრით, ქალს გაუმართლა, ვინაიდან ის შესაძლოა არტერიას შეხებოდა ან ჭრილობაში ინფექცია შესჭროდა.

ამერიკელმა მილიონ დოლარად ღირებული მონეტა იპოვა

ამერიკელმა ნუმიზმატმა ახალი ინგლისიდან უიშვიათესი მონეტა აღმოაჩინა, რომლის ღირებულება მილიონობით დოლარია.

ხუთდოლარიანი მონეტა 1854 წელს არის დამზადებული სან-ფრანცისკოს მონეტის სახლში. ოქროს ციებ-ცხელების დროს კალიფორნიაში ისინი 268-ცალიანი ტირაჟით გამოუშვეს. მათგან დღემდე სამი ცალი იყო შემორჩენილი, ახლა კი მეოთხე იქნა ნაპოვნი.

კოლექციონერმა არ გაამხილა, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში უიშვიათესი მონეტა. დიდი ხნის განმავლობაში ის ვერ ახერხებდა დაემტკიცებინა, რომ მონეტა ნაყალბევი არ იყო. საბოლოოდ ნუმიზმატი იძულებული გახდა, მსოფლიოში უდიდესი საექსპერტო კომპანიის, Numismatic Guaranty Corporation-თვის მიემართა, რომელიც მონეტების ექსპერტიზით არის დაკავებული.

1854 წლის ერთ-ერთ მონეტა ვაშინგტონის სმიტსონის ინსტიტუტში ინახება, მეორე ლეგენდარული ნუმიზმატის დევიდ პოგას კოლექციაშია. მესამე მონეტა ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახის, უილის დიუპონის მემკვიდრეს ეკუთვნოდა. 1967 წელს მის ბინაში შეიარაღებული მძარცველები შეიჭრნენ. მილიარდერი, მისი ოთხი წლის შვილი და მოსამსახურე გაკოჭეს, ხოლო მეუღლე აიძულეს, სეიფი გაეხსნა. ბოროტმოქმედებმა წაიღეს 50 ათასი დოლარი, ძვირფასეულობა და უილისის კოლექცია, რომელშიც, სხვების გარდა, 1854 წლის მონეტაც იყო. მის შემდგომი ბედი უცნობია.

– ჩვენ გვსურდა დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ის არ არის, – განაცხადა საექსპერტო კომპანიის პრეზიდენტმა რიკ მონტგომერმა, – მისი ფოტოსურათების მოპოვება შევძელით, რომელიც 1962 წელს იქნა გადაღებული, აუქციონზე მისი ბოლო წარდგენის დროს.

სამივე ცნობილი მონეტის გამოსახულების შედარების შემდეგ კომპანიის სპეციალისტებმა ნუმიზმატის მონეტის ნამდვილობა დაადასტურეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის დიუპონის გატაცებული მონეტისგან განსხვავდება.

– ეს იგივეა, მეორადი საქონლის ბაზრობაზე პიკასოს ნამდვილი ნახატი რომ აღმოაჩინო, – განაცხადა კომპანია Numismatic Guaranty Corporation-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე მარკ ზალცბერგმა, – ასეთი აღმოჩენა ცხოვრებაში ერთხელ ხდება.

ექსპერტების შეფასებით, ამჟამად ამგვარი მონეტის საბაზრო ღირებულება სამ მილიონ დოლარს შეადგენს.

გოგონას რეზინი ხელში ჩაეზარდა

ოთხი წლის გოგონას ჩინეთის ანხოის პროვინციიდან ხელიდან ამოაჭრეს რეზინი, რომელიც მის კანს შეეზარდა.

ბავშვის ბებიამ და პაპამ გოგონას ხელზე შესიებულ ადგილს ჯერ კიდევ იანვარში მიაქციეს ყურადღება. მართალია, ბავშვი ჩიოდა, რომ ხელი დაბუჟებული ჰქონდა, მაგრამ მათ არაფერი მოიმოქმედეს და მისი მშობლების დაბრუნებას დაელოდნენ, რომლებიც ქვეყნის სხვა პროვინციაში მუშაობდნენ. მათ გოგონა დაუყოვნებლივ მიიყვანეს ექიმთან.

მათ რამდენიმე საავადმყოფო მოიარეს, სანამ ერთ-ერთ მათგანში მიხვდნენ, რომ ჯანს მრგვალი რეზინი შეეზარდა. სპეციალისტების ვარაუდით, გოგონამ ის ხელზე მინიმუმ ექვსი თვის წინ გაიკეთა და მოუხსნელად ეკეთა.

კვლევებმა და გაშუქებამ მათი ვარაუდი დაადასტურა. იმისთვის, რომ სხეულზე შეზრდილი უცხო საგანი მოეშორებინათ, ქირურგებს ხელზე კანის გაჭრა მოუხდათ. ამ პროცედურას დაახლოებით 30 წუთი დასჭირდა.

ფილიპინელს სიმსივნე კოღოს ნაკბენი ეგონა

ფილიპინელმა ჯოი არსილმა სიმსივნური კიბოს გამო ხელი დაკარგა. მას ის თავიდან, უბრალოდ, კოღოს ნაკბენი ეგონა.

2012 წელს 16 წლის გოგონამ ხელის კუნთზე შეწითლებული ადგილი აღმოაჩინა და ჩათვალა, რომ ეს კოღოს ნაკბენი იყო, თუმცა დროთა განმავლობაში ის არ გამქრალა და, პირიქით, იზრდებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ არსილამ ექიმს მიმართა და მას იუინგის სარკომა, ძვლოვანი ქსოვილის ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს.

2013 წლის აპრილში მან სიმსივნის ამოკვეთის ოპერაცია გადაიტანა. ექიმები არწმუნებდნენ, რომ ავადმყოფობა დამარცხებული იყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სიმსივნე ისევ გამოჩნდა და გოგონას ქიმიოთერაპიის 17 კურსის გავლა მოუხდა. ამ პროცედურებმა ისეთი ძლიერი გვერდითი ეფექტები გამოიღო, რომ მან გადაწყვიტა, მათზე უარი ეთქვა. ამან კი სიმსივნის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. არსილმა ალტერნატიული მედიცინის პრაქტიკულად ყველა მეთოდი გამოცადა, მაგრამ სიმსივნეს ვერაფერი მოუხერხა.

მაშინ გოგონამ ხელის ამპუტაციის გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან შიშობდა, რომ ის ორგანიზმის სხვა ნაწილებზეც გავრცელდებოდა. არსილამ აღიარა, რომ, მართალია, გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ, ამავე დროს, გახარებულია, რომ უკვე შეუძლია, თავისუფალი დრო დაუთმოს სწავლასა და მეგობრებთან ურთიერთობას.

ფლორიდის ჭაობებიდან პითონები დასახლებებისკენ დაიძრნენ

მუქი ვეფხვისებური პითონები, რომლებიც ამერიკის სამხრეთის შტატ ფლორიდის ჭაობებში საკმაოდ მომრავლდნენ, ნელ-ნელა ნახევარკუნძულის მჭიდროდ დასახლებული რაიონებისკენ მიიწევენ.

თუ ადრე უზარმაზარი გველები უპირატესად ევერგლეიდსის ეროვნულ პარკსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სახლდებოდნენ, ახლა უკვე ისინი სულ უფრო ახლოს ჩნდებიან ქალაქებთან, რომლებიც ფლორიდის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში მდებარეობს. ბიოლოგ ჯო ვასილევსკის თქმით, პითონებმა უკვე დაიკავეს ნახევარკუნძულის დასავლეთი სანაპირო.

– და ვშიშობ, რომ ისინი გავრცელებას გააგრძელებენ, – აღნიშნა ბიოლოგმა.

ოლქის მცხოვრებმა ლი სარა რობინსონმა განაცხადა, რომ მისი ნაცნობები ხშირად აქვეყნებენ ფეისბუქზე პითონების ფოტოსურათებს, რომლებიც ისეთ ადგილებში შენიშნეს, სადაც ადრე არასოდეს ყოფილან.

– მე პატარა, საყვარელი პუდელი მყავს და მის გამო ძალიან ვშიშობ, ვინაიდან პითონები ყველაფერს სანსლავენ, რაც კი მათ გზაზე აღმოჩნდება, – განაცხადა ქალაქ ფორტ-მაიერსის მცხოვრებმა დაიან ჩერნოუმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სუპერლიგის რეგულარულ სეზონში გასარკვევი ორი ადგილია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლებმა კაკტუსთან 82:99 წააგეს. სოხუმელებს დაუბრუნდათ ამერიკელი ლეგიონერი კვან უოლერი, რომელიც გუნდის ხელმძღვანელობამ მას მერე მოაბრუნა ამერიკიდან, რაც ფედერაციის გადაწყვეტილების შემდეგ სუპერლიგაში დარჩენის შანსი გაუჩნდა. უოლერმა კაკტუსელებს 24 ქულა ჩაუგდო, სოხუმი კი წინა მატჩების მსგავსად, უიმედოდ არ დამარცხებულა. თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ ცხრილში მეორე ადგილზე მყოფმა კაკტუსმა უპირატესობა მოიპოვა და მეტოქე გატეხა. საბოლოოდ არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა მეტოქე 99:82 დაამარცხეს და ცხრილში მეორე ადგილზე გამაგრდნენ.

გამარჯვებულთაგან 21 ქულით, 10 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო ახალგაზრდა ლევან გოგალაძე. ჯონ მიტჩელმაც 21 ქულა მოაგროვა, კრისტიან ჯონსონის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა. სოხუმში 24 ქულით უოლერი გამოირჩა, 18 ქულა და 10 მოხსნა ლევან რევაზაშვილის ანგარიშზეა, სერგო ათუაშვილმა კი შეხვედრა 10-10 ქულა-მოხსნით დაასრულა.

ასე რომ, სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. დარჩენილია 3 მატჩი და მხოლოდ ის არის გასარკვევი, 2-3 ადგილებს ვინ დაიკავებს. დანარჩენი ადგილების მფლობელები გარკვეულია:

კაკტუსი ბოლო ტურში მგზავრებს ხვდება და, თუ მოიგებს, მეორე ადგილზე გავა, მესამე ადგილი კი დინამოს დარჩება.

თუმცა, არის კიდევ ერთი ვარიანტი: კაკტუსი თუკი წააგებს, ან მესამეზე გავა, თუკი რუსთავი იმარჯვებს, რადგან თუკი 3 გუნდი (დინამო, კაკტუსი, რუსთავი) თანაბარ ქულებს დააგროვებენ, დინამო მეორეადგილოსანი გახდება, მესამეზე კაკტუსი განთავსდება, რუსთავს კი ყველა ვარიანტში მე-4 ადგილი ელის, რადგან კაკტუსი“ „დინამოსთან“ ურთიერთშეხვედრებში აგებს, ხოლო თუ კაკტუსიც წააგებს და რუსთავიც, მეორეზე მაინც დინამო გადის, რადგან ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა აქვს მეტოქესთან.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გარკვეულია მეოთხედფინალის 2 წყვილი: ქუთაისი-მარნეული და რუსთავი-ბათუმი. ბოლო ტურში კაკტუსმა მგზავრებს რომ მოუგოს, მეოთხედფინალში მასვე შეხვდება, ხოლო დამარცხების შემთხვევაში კაკტუსელებს ოლიმპი ელით.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	31	22	9	2649:2344	53
2.დინმო	32	21	11	2667:2411	53
3.კაკტუსი	31	21	10	2586:2505	52
4.რუსთავი	31	20	11	2592:2436	51
5.ბათუმი	32	17	15	2443:2349	49
6.ოლიმპი	31	16	15	2400:2341	47
7.მგზავრები	31	13	18	2454:2618	44
8.დელტა	31	10	21	2510:2642	41
9.სოხუმი	32	1	31	2357:3012	33

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

სჯანვოხდი



1. ალადინის მაიმუნი; 2. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 3. მექანიკის ნაწილი; 4. ხის მწვანე ბაყაყი; 5. ... სტრიპი; 6. გერმანელი კინორეჟისორი (1889-1931); 7. ვისიმე საცოლე ან საქმრო; 8. ინგლისური მაგარი ლუდი; 9. შეუწვავი, მოუხარშავი; 10. მაუგლის მეგობარი გველი; 11. „ ... ერგასის დღე“; 12. ... რიშარი; 13. სტადიონი ბრაზილიაში; 14. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 15. მღვდელი საფრანგეთში; 16. ნოტი; 17. პროტესტანტების მღვდელი; 18. კორეული ავტომობილი; 19. ამერიკული ავტომობილი; 20. ზმნის წარსული დრო; 21. ... შანელი; 22. საერთაშორისო სამეცნიერო თათბირი; 23. კაკობრიობის მიერ განვლილი გზა; 24. „მდოგვის გაზი“; 25. ქალის თავსაბურავი (ძვ.); 26. არისტოტელე ...; 27. მსხვილი სავაჭრო ან სამრეწველო გაერთიანება; 28. ამერიკული ავტომობილი; 29. ბურატინოს პროტოტიპი; 30. ტბა აფრიკაში; 31. იგივეა, რაც ნადი; 32. ქალბატონი (ფრანგულად); 33. ინეკო ... (XXს. იაპონელი მწერალი).

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფუკუსიმა; 2. გულჩორა; 3. უნაბი; 4. ბურვილი; 5. კოპტები; 10. მოძახილი; 11. ხარისთვალა; 12. ესკადრა; 15. კლეპსიდრა; 16. სპაზმი; 17. ქორწილი; 20. სარკე.

თარაზულად: 6. წუღრუღაშენი; 7. ჰუდზონი; 8. სტილეტი; 9. წიქარა; 13. კინო; 14. კაზუსი; 18. ბანდეროლი; 19. ფობია; 21. მარსი; 22. დინასი; 23. სირაჯხანა; 24. სპარსეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნადური; 2. დასტა; 3. არიანი; 4. აიმაკი; 6. გულიაში; 9. ბლუზი; 11. კონფუცი; 15. ლითოსფერო; 16. ქენონი; 19. ასპინძა; 21. პატენტი; 22. რაბათი.

თარაზულად: 5. ჯაბახანა; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. სლოგანი; 12. კოლტი; 13. სუომი; 14. ყიზილბაში; 18. კაფკა; 20. ნეგუსი; 23. ფაუსტი; 24. ტუფი; 25. ლენონი; 26. თორი; 27. ატლანტა.

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲝᲖᲘ

30 აპრილისთვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – თქვენს გეგმებს ნურავის გაანდობთ. იზრუნეთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. **ᲙᲣᲠᲛᲝ** – იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. აჩქარებით საქმეს გააფუჭებთ. **ᲑᲧᲣᲞᲔᲑᲘ** – ჰარმონიული დღეა. იზრუნეთ საკუთარ თავზე. დაისვენეთ და გაერთეთ. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – მეგობრებთან ერთად დროს მხიარულად გაატარებთ. საღამოს საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ. მცირედი კონფლიქტი გელით ახლობელთან. **ᲚᲝᲛᲘ** – ემოციურად არასტაბილური დღეა. თავისუფლებას ნუ შეიზღუდავთ. სხვის საქმეში ჩარევა არასასურველი შედეგით დამთავრდება. **ᲥᲐᲚᲬᲘᲚᲘ** – ცდუნების ალბათობა იზრდება. თავი შეიკავეთ საქმის გარჩევებისაგან. კრიტიკული დღეა. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. **ᲦᲠᲘᲐᲜᲥᲐᲚᲘ** – კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ** – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ. **ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ** – კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **ᲗᲔᲗᲠᲔᲑᲘ** – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იმედა არაბული დათო ხუჯაძეს აკრიტიკებს

კინომსახიობთა თეატრის მსახიობი იმედა არაბული მომღერალ დათო ხუჯაძეს აკრიტიკებს. კრიტიკის მიზეზი მომღერლის განცხადება გახდა, როდესაც აფხაზეთის თემაზე საუბრისას ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრობისას ხუჯაძემ განაცხადა, რომ პუტინს ქართველები იმას სთხოვენ, რაც არ წაურთმევია.

იმედა არაბული:

– „თუ ბუნებამც არ გშველით – ელ ცენტრო!

თუ თქვენი ინტელექტი ვერ ახერხებს სუბლიმაციას – ელ ცენტრო!

თუ გსურთ, სტატუსი დოლარის კურსის პროპორციულად გეზრდებოდეთ – ელ ცენტრო!

თუ ოჯახის შექმნის იმედი ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ „ა-მა-ღა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.4617

ევრო — 2.9762

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3932

100 რუსული რუბლი — 3.9379

ამინდის პროგნოზი 30 აპრილისთვის

მეხანძრემ ცეცხლმოკიდებული სახლიდან გადმოგდებული ჩვილი დაიჭირა



ამერიკის მინესოტის შტატის ქალაქ ნორტ-სენტ-პოლში მეხანძრემ დაიჭირა ჩვილი, რომელიც ცეცხლმოკიდებული სახლის ფანჯრიდან გადმოაგდეს.

მამაკაცი თავის სამი თვის ბავშვთან ერთად მრავალსართულიანი სახლის მეორე სართულის ფანჯარაში გამოჩნდა. მან დაიძახა, რომ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა და ბავშვი მაშველს გადაუგდო.

მიუხედავად იმისა, რომ მაშველი მომზადებული არ იყო, ბავშვის დაჭერა მაინც მოახერხა.

– ჩვენ ამისთვის არ გვამზადებდნენ, – განმარტა მეხანძრემ, – არ გვქონია ვარჯიშები, რომლის დროსაც აივნიდან სხვადასხვა გადმოგდებული საგნის დაჭერაზე ვივარჯიშებდით. მსგავსი არაფერი ყოფილა.

ხანძრის ჩაქრობა მსხვერპლის გარეშე მოხერხდა. ცეცხლმოკიდებული სახლის 25-ვე ბინის მცხოვრებლები, მათ შორის ბავშვის მამაც, გადაარჩინეს. გარდა ამისა, მეხანძრეებმა სახლიდან ორი კატის გამოყვანაც მოასწრეს.

ყოფილ სტრიპტიზიორს კლიენტმა მემკვიდრეობა დაუტოვა



ყოფილმა სტრიპტიზიორმა ვერონიკა ბექჰემმა მემკვიდრეობა თავისი კლიენტის, ერთერთი ტელეარხის გარდაცვლილი თანამშრომლისგან მიიღო.

ბექჰემმა მიკი ლიუ, ტელეარხის საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი, 2014 წლის ივლისში გაიცნო. ის ატლანტიკ-სიტიზე მდებარე სტრიპ-კლუბში მივიდა, სადაც გოგონა მუშაობდა და მალე, მისი თქმით, ისინი დამეგობრდნენ, ერთმანეთს რეგულარულად ხვდებოდნენ. ლიუ დიაბეტით იყო დაავადებული, ასევე სიმსუქნისა და ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან იტანჯებოდა. ის ავადმყოფობისგან საკუთარ სახლში გარდაიცვალა. საკუთარ ანდერძში მან ის საპენსიო ანგარიშებისა და სადაზღვევო პოლისის ბენეფიციარად მიუთითა, რომლებშიც 223 ათასი დოლარი უნდა მიეღო.

გარდაცვლილის დამ, მეიმ, ბექჰემის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მან განაცხადა, რომ მისი და თავისი ძმის „საუკუნო მეგობრობის“ არ სჯერა. მან აღნიშნა, რომ „პროფესიონალ სტრიპტიზიორს ოსტატურად ეხერხება მამაკაცებით მანიპულირება“. მეის მიაჩნია, რომ მისი სიმართლის დადასტურებას წარმოადგენს მისი ძმისა და მოცეკვავის მიმოწერა: მას შემდეგ, რაც ის ანდერძში იქნა შეყვანილი, ბექჰემმა ლიუსთან ურთიერთობა შეწყვიტა და ამის მიზეზად ტელეფონის შეცვლის აუცილებლობას ასახელებდა.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ არ შეუძლია სარჩელის დაკმაყოფილება, ვინაიდან კომპენსაციაზე სარჩელის სასამართლოში შეტანა მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეს შეუძლია, ანუ ლიუს ყოფილ მეგობარ გოგონას. ბექჰემმა, რომელიც ამჟამად უკვე სტილისტად მუშაობს, მის მიმართ ბრალდება უარყო და დაამატა, რომ გარდაცვლილთან სექსუალური ურთიერთობა არასოდეს ჰქონია.

ზვიგენებმა და ნიანგებმა მკვდარი ვეშაპი გაინაწილეს

ზვიგენები და ნიანგები, რომლებიც მკვდარ ვეშაპს ჭამდნენ, დრონის მიერ გადაღებულ ვიდეოზე მოხვდნენ. ამ ვიდეორგოლით სამეცნიერო გამოცემა ნეიშენელ გეოგრაფიკი დაინტერესდა.

ვიდეო ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროსთან იქნა გადაღებული. გამოცემის ინფორმაციით, ეს პირველი ვიდეორგოლია, რომელზეც ჩანს, თუ როგორ ჭამს ნიანგი ვეშაპს. ზღვის ბიოლოგმა ოსტინ გალაჰერმა აღნიშნა, რომ ვიდეომ მეცნიერებს საშუალება მისცა, ენახათ ვეფხვისებური ზვიგენებისა და ნიანგების ურთიერთშეთანხმებული მოქმედება და რომელთა გზები ველურ ბუნებაში იშვიათად გადაიკვეთება.

– როგორც ჩანს, მტაცებლები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან, – აღნიშნა გალაჰერმა.

ასევე მან აღნიშნა, რომ მტაცებლები არ ჩხუბობდნენ იმის გამოც, რომ 20 ტონა ვეშაპის ხორცი ყველასთვის სამყოფი იყო. მტაცებლების სპეციალისტმა ანტონელა პრეტიმ აღნიშნა, რომ ზვიგენები ასეთ შემთხვევებში ამჯობინებენ, მაქსიმალურად დიდი ნაჭერი მოაგლიჯონ და სწრაფად გაცურონ, რათა ჩხუბში არ აღმოჩნდნენ ჩათრეული და დაპირისპირებას ზედმეტი ენერგია არ შეალიონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

ქმარი სახლში მოულოდნელად დაბრუნდა და საწოლ ოთახში შესული ხედავს, მისი ცოლი საწოლში წევს, ხოლო საწოლთან შიშველი, თავზე ქუდჩამოფხატული, მოლიმარი მამაკაცი დგას. ქმარი ეკითხება:

– ვინ ხარ?

– უტვინო, გუშინ ეს უჩინმაჩინის ქუდი ათას ლარად ვიყიდე!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ხვალ სამსახურში კორპორაციული გვაქვს, ასე რომ, სახლში მთვრალი დავბრუნდები.

– მთვრალი კი არა, ნასვამი!

– კარგი, კარგი, კარგი ნასვამი.

– კარგი ნასვამი კი არა, უბრალოდ, ნასვამი!!!

•••

ბიჭი და გოგო ღამით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქერიან. ბიჭი ეუბნება:

– აი, იმ ვარსკვლავს ხედავ?

– ვხედავ.

– ის მე ვარ! და აი იმ მეორე ვარსკვლავს ხედავ?

– ვხედავ.

– ის შენ ხარ. და აი იმ ვარსკვლავს ხედავ, მეორეს რომ აზის ზევიდან?

– ვხედავ, – გამოცოცხლდა გოგონა.

– ის მე ვარ, მოტოციკლზე!

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ჩემს ცოლს უშველეთ, ბრმა ნაწლავის ძლიერი შეტევა აქვს.

– ნუ ღელავთ. ორი წლის წინ თქვენს მეუღლეს ოპერაცია უკვე გავუკეთე და ბრმა ნაწლავი ამოვჭერი, ასე რომ, ადამიანს არ შეიძლება, ორი ბრმა ნაწლავი ჰქონდეს!

– მართალია, ექიმო, მაგრამ, ხომ შეიძლება, ადამიანმა მეორე ცოლი მოიყვანოს.

•••

ტელეფონის ზარი:

– აღო, ეს ნაწარმის ადგილზე მიტანის სამსახურია?

– დიახ, რა გნებავთ?

– სამუშაო დღე დამიმთავრდა და სახლში წასასვლელად მზად ვარ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

თან საკითხავი

19 აპრილიდან

120 ამბავი ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

კორეიდან ლტოლვილმა კიმ ჩენ ინის მობილურ ტუალეტზე ისაუბრა

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან (კსდრ) დევნილმა ქვეყნის ლიდერ კიმ ჩენ ინის გადასატან ტუალეტზე ისაუბრა.

ლი იუნ კეოლი ადრე კსდრ-ს ლიდერების უსაფრთხოების სამსახურში ბიოლოგად მუშაობდა. 2005 წელს ის სამხრეთ კორეაში გაიქცა. მისი თქმით, ჩრდილოეთ კორეის მეთაური მოგზაურობის დროს თან დაატარებს პერსონალურ ტუალეტს, რათა საზოგადოებრივი საპირფარეშოებით სარგებლობა არ მოუხდეს.

კეოლმა აღნიშნა, რომ ამგვარად უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები მაღავენ ინფორმაციას პოლიტიკოსის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე.

– ლიდერის ექსკრემენტები შეიცავს ინფორმაციას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ამიტომ ისინი სხვას ხელში არ უნდა ჩაუვარდეს, – განმარტა მან.

ლივერპულელმა „მდინარის ურჩხულმა“ სპეციალისტები საგონებელში ჩააგდო

ინგლისის ქალაქ ლივერპულის მცხოვრებმა ნაპირზე იპოვა უჩვეულო ცხოველის მძორი. ამ ინფორმაციას ერთერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

28 წლის ფანჯრების მრეცხავმა შონ ჰოლმა მას ყურადღება იმ დროს მიაქცია, როდესაც კოლეგასთან ერთად მდინარე მერსის მახლობლად სეირნობდა.

– ჩვენ ვიფიქრეთ, რომ მას უბედურება შეემთხვა და გადავწყვიტეთ, შეგვემოწმებინა, მოვახერხებდით თუ არა, ზღვაში დაბრუნებაში დავხმარებოდით, – განაცხადა ჰოლმა, – მაგრამ ის მკვდარი აღმოჩნდა.

უცნაურ არსებას ჰქონდა ეშვები, თუმცა არ ჰქონდა თვალები. ამასთან, ჰოლმა ჩათვალა, რომ მას ისინი ადრეც არ ჰქონია. ნაპოვნმა მას ისტორიამდელი მდინარის ურჩხული მოაგონა.

ჰოლმა გადაწყვიტა გაერკვია, თუ რა ცხოველი აღმოაჩინა მდინარის ნაპირზე და სხვადასხვა ორგანიზაციას დაუკავშირდა, რომლებიც ცხოველების დაცვასთან არიან დაკავშირებული, მაგრამ სპეციალისტებმა მძორის იდენტიფიცირება იმის გამო ვერ შეძლეს, რომ ის ძალიან იყო გახრწნილი. ზღვის ბიოლოგ ლეონი რობინსონის თქმით, ფოტოზე ნებისმიერი ცხოველი შეიძლება იყოს აღბეჭდილი, დაწყებული ზღვის ღორითა და თევზი-გრენადერით დამთავრებული. ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოების წარმომადგენლების ვარაუდით, ის რომელიმე ვეშაპისებრთა წარმომადგენელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. ჯარების წინამძღოლი; 6. ოფისი; 8. ინდოელი ქალის კაბა; 9. გერმანული ავტომობილი; 10. სახელმწიფო აფრიკაში; 11. კათოლიკური წირვა; 13. შემოსავლიანი „თბილი“ თანამდებობა; 14. „მინერალური ...“; 16. ღრეობა; 18. ბაღჩეული მცენარე; 20. წელიწადის დრო; 21. წყვილთა ფრანგული ცეკვა.

შვეულად: 1. მოძალადე, უტიფარი; 2. საბრილიანტე ქვა; 3. წარმოებაში ხმარებული ნახშირწყალბადი; 4. მაღაზია; 5. საწამლავი; 7. სუპერმარკეტი თბილისის გარეუბანში; 11. ქმრის ძმა; 12. უეცარი შიში, თავზარი; 13. იტალიური წვრილი მაკარონი; 14. მასხარა, კლოუნი; 15. თმის სუროგატი; 17. რამე მექანიზმის, მანქანის მბრუნავი ნაწილი; 19. ერთეული ვექტორი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ